# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 6 მაისი. 2017 წ. №93 (8230), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




SOS!

## ალექსანდრე დუგინი: თუ საქართველოს ოკუპაცია მოგვიწევს, ეს უნდა გავაკეთოთ! ⑤

## იაკობ ლეჟავა: რა იდეები მოდის განათლებული და წესიერი პარლამენტის თავმჯდომარისგან პარლამენტის დაკომპლექტების ერთ-ერთი სადავო წესის შესახებ, ანუ «მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსა!» ③



## უვიზო მიმოსვლით უკვე საქართველოს 10 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა!

უვიზო მიმოსვლით უკვე საქართველოს 10 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა, - განაცხადა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

„უკვე საქართველოს 10 ათასმა მოქალაქემ გამოიყენა ეს შესაძლებლობა ევროპაში შესასვლელად და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყოველივე გაგრძელდება ჩვენი განზრახვის შესაბამისად, რათა ვიხილოთ ვიზალიბერალიზაციის პროცესი, როგორც ადამიანებისთვის თავისუფლების მინიჭება, რომ იმოგზაურონ ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ეს არის გახსნილობა ევროკავშირის მხრიდან, ეს არის ღია კარის მიდგომა ევროკავშირის სტრუქტურებიდან.

ძალზე მნიშვნელოვანია მიღწეული რეფორმების მუდმივი განვითარება. ეს კიდევ ერთხელ დასტურდება უვიზო მიმოსვლით და ყველა იმ რეფორმის განხორციელებით, რომელიც მიმართული იყო ამ სერიოზული მიზნების მისაღწევად“, — აღნიშნა ჰანმა.

## საბერძნეთში ქართველი ქალი მოკლეს! – დააკავებულია საავადმყოფოს ექიმი

სალონიკში ქართველი ქალი მოკლეს, — ამის შესახებ ბერძნული გამოცემა Thestival ავრცელებს. ცხედარი ქალაქის გარეუბანში იპოვეს. 36 წლის ქალის გაუჩინარების შესახებ მეუღლემ 27 აპრილს განაცხადა. მას შემდეგ საქართველოს მოქალაქეს ბერძენი პოლიციელები ეძებდნენ.

გამოძიების ინფორმაციით, ქალი სალონიკის საავადმყოფოში მოკლეს და ცხედარი გადამალეს.

მკვლელობაში ბრალდებულია 38 წლის ბერძენი ექიმი, რომელიც ათენში დააკავეს.

ჯუმბერ სარდლიშვილი

## თანამედროვე „სიბრძნე სიცრუისა“ ⑥



## დღეს გიორგობაა, გილოცავთ!



### წმ. დიდმოწამე გიორგი ტროპარი:

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ძლევით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

## გიორგობა

6 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია გიორგობას დღესასწაულობს, წმინდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული წმიდანია ქრისტიანულ სამყაროში.

...გადმოცემით ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში ეკლესიების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. ქართველებმა წელიწადის ერთ-ერთ თვეს გიორგობისთვე უწოდეს!

...დიოკლეტიანემ ბრძანა გიორგისა და დედოფალ ალექსანდრას სიკვდილით დასჯა, რაც მალე აღასრულეს: ისინი ქალაქგარეთ წაიყვანეს და როდესაც დასჯის ადგილზე მიიყვანეს, დედოფალმა დასჯის წინ სული განუტევა, ხოლო გიორგის თავი მოჰკვეთეს. ამიტომაცაა, რომ წმინდა დიდმოწამე გიორგისა და დედოფალ ალექსანდრას ხსენება ერთ დღესაა დაწესებული.

**გიორგობას გილოცავთ, სრულიად საქართველო!**



# სექტემბრიდან საქართველოში ევროპული სკოლა გაიხსნება

**საქართველოში ევროპული სკოლა გაიხსნება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ევროკომისიასთან ერთად იგეგმება საქართველოში რეგიონული მნიშვნელობის ევროპული სკოლის გახსნა.

**„ეს იდეა ეკუთვნის იოჰანეს ჰანსს, რომლისთვისაც მას მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. ეს სკოლა საშუალებას მისცემს ჩვენს ახალგაზრდობას, მომავალი წლის სექტემბრიდან მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება. ეს სკოლა საფუძველს ჩაუყრის მომავალში ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებას“.**

იოჰანეს ჰანის განმარტებით კი, ევროპულ სკოლაში, რომელიც თბილისში გაიხსნება, სწავლება ინგლისურ ენაზე წარიმართება და მისი მოსწავლეები საერთაშორისოდ აღიარებულ ატესტატს მიიღებენ.

# ევროკავშირი საქართველოსთვის 32 მლნ ევროს გამოყოფს

**თბილისში ვიზიტით მყოფი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ეწვია და შეხვედრა გამართა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან. მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პრიორიტეტები და ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები განიხილეს.**

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, რისი ნათელი დადასტურებაც, მხარეთა შეფასებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღება გახდა. გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა იოჰანეს ჰანს ვიზალიბერალიზაციის პროცესში შეტანილი პირადი წვლილისთვის. პრემიერ-მინისტრმა ევროკომისარს გააცნო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისთვის საქართველოს მოლოდინები და იმედი გამოთქვა, რომ სამიტი ხელს შეუწყობს ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობის ახალ ინიციატივებს, რომლის მიზანიც არის ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემო, რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარება, პროფესიული კადრების ზრდაზე ორიენტირებული განათლების სისტემა, ანგარიშვალდებული მმართველობა. გიორგი კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარების უდიდეს მნიშვნელობაზე.

პრემიერმა და ევროკომისარმა განიხილეს საქართველოში რეგიონული მნიშვნელობის ევროპული სკოლის გახსნის პერსპექტივები. აღინიშნა, რომ ევროპული სკოლა მომავალი წლის სექტემბრიდან დაიწყებს ფუნქციონირებას და ახალგაზრდებს შესთავაზებს მაღალი ხარისხის განათლებას. მხარეებმა ასევე განიხილეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში „სტარტაპ საქართველოს“ როლი და ამ მიმართულებით ევროკავშირის დახმარების გაძლიერების შესაძლებლობები. შეხვედრაზე ევროკომისარმა ხაზი გაუსვა ევროკავშირის მზაობას, დაეხმაროს საქართველოს ახალი ინიციატივების განხორციელებაში.

გაფართოებული ფორმატის შეხვედრის დასრულების შემდეგ, გაიმართა ხელმოწერის ცერემონია. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ და ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა ხელი მოაწერეს საფინანსო შეთანხმებას – „ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმი“ (Technical Cooperation Facility – TCF). შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირი გამოყოფს 32 მილიონ ევროს ოდენობის დახმარებას ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდასაჭერად.

# საავიაციო ხომალდების სარემონტო ცენტრი იქნება რეგიონული დანიშნულების ობიექტი, სადაც თანამედროვე ხომალდები გარემონტდება

**საავიაციო ხომალდების სარემონტო ცენტრი იქნება რეგიონული დანიშნულების ობიექტი, სადაც თანამედროვე ხომალდები გარემონტდება,** – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადა, სადაც საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ცენტრი გაიხსნა. მისი თქმით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის საკვანძო ჰაბური ფუნქციის განვითარებისთვის. როგორც მან აღნიშნა, საქართველოში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საერთაშორისო საავიაციო ხომალდების სარემონტო ცენტრი და ასევე ამ ცენტრთან ერთად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც მოხდება თანამედროვე სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ ხომალდების კაპიტალურ რემონტზე.

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის საკვანძო ჰაბური ფუნქციის განვითარებისთვის. ეს იქნება ძალიან ბევრი დამატებითი სამუშაო ადგილი და აბსოლუტურ შესაბამისობაშია ჩვენი რეფორმების გეგმასთან, როგორც განათლების მიმართულებასთან, ასევე სივრცით განვითარებასთან. საავიაციო კვანძის ფუნქციის განვითარება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ჩვენ გვაქვს ძალიან მზარდი მაჩვენებლები, განსაკუთრებით ბოლო თვეებში თითქმის ყოველთვიურად 20-30%-ით იზრდება ტურისტების მაჩვენებელი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საავიაციო მომსახურება, დატვირთვა ჩვენი საჰაერო კორიდორის ძალიან მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და ამ ყველაფრისთვის ჩვენ რომ ასეთი ცენტრები არ შევქმნათ, ეს იქნება გაშვებული შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნებისთვის და ამ დროს ეს კერძო ინიციატივა ძალიან მისასალმებელია“,** – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ევროპის დღე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

**ევროპის კვირეულის ფარგლებში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სერგი კაპანაძემ, ევროკავშირის ელჩის იანოშ ჰერმანის მონაწილეობით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია ჩაატარეს თემაზე: „საქართველო და ევროკავშირი“.**

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ სტუდენტებს ევროპულ ღირებულებებზე ასევე, განათლებისა და განათლებული ახალგაზრდების მნიშვნელობაზე ესაუბრა. **„ევროპაში განათლების მიღება მნიშვნელოვანია, იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენს ქვეყანას ევროპული ღირებულებებით და ფასეულობებით აღჭურვილი ახალგაზრდობა დაუბრუნდეს, რომლებიც მიღებულ განათლებასა თუ გამოცდილებას საკუთარ ქვეყანას მოახმარენ. ეს ჩვენი ქვეყნის მომავალი წინსვლისა და განვითარების ძალიან მყარი საფუძველი იქნება“,** – განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა.

შეხვედრაზე, რომელიც თითქმის 2 საათს გაგრძელდა, მიწვეულმა სტუმრებმა და სტუდენტებმა, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ევროპული სივრცისკენ საქართველოს სწრაფვაზე, ამ მიმართულებით ქვეყნის მიერ განვლილ გზაზე და გამოწვევებზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებებზე ისაუბრეს.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე გაამახვილა ყურადღება. **„ასოცირების შეთანხმება არის ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციის გეგმა. გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა გახდეს ჩვენი ქვეყანა უკეთესი იმ უამრავი რეფორმით, რომელსაც ასოცირების შეთანხმება მრავალი მიმართულებით ითვალისწინებს. ეს არის საშინაო დავალებების პაკეტი, რომელიც შესასრულებელი გვაქვს“,** – განაცხადა თამარ ხულორდავამ.



კომიტეტის თავმჯდომარემ ევროკავშირთან საქართველოს მიღწეულ წარმატებაზე – თავისუფალი მიმოსვლის ამოქმედებაზე და იმ შესაძლებლობებზე ისაუბრა, რომელსაც ვიზის ლიბერალიზაცია იძლევა.

# ირაკლი კობახიძე: ჩვენ არადემოკრატიულ კონსტიტუციას დემოკრატიულით ვცვლით!

**ჩვენ არადემოკრატიულ კონსტიტუციას ვცვლით დემოკრატიული კონსტიტუციით,** – ამის შესახებ ქუთაისში საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაზე კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**„მოქმედი კონსტიტუცია უხეშად ეწინააღმდეგება თანამედროვე, ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპებს, რაც 2010 წელს პირდაპირ დაფიქსირდა ვენეციის კომისიის დასკვნაში. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ არის დაცული ჩვენი მოქმედი კონსტიტუციით. ეს ხარვეზი საჭიროებს გამოსწორებას. 2010 წელს მოცემული შენიშვნა უნდა გავითვალისწინოთ. მეორე ამოცანა არის, რომ უნდა ჩამოყალიბდეს დახვეწილი მმართველობის სისტემა. 2010 წელს გადავედით საპარლამენტო მმართველობაზე, თუმცა ეს გაკეთდა ძალიან არასწორი ფორმით. ჩვენ გვაქვს დაუხვეწავი საპარლამენტო მმართველობა, რასაც განაპირობებს უამრავი ხარვეზი, რომელიც ჩადებულია მოქმედ კონსტიტუციაში. ჩვენი ამოცანაა ამ სისტემის დახვეწა და დაუხვეწავი საპარლამენტო მმართველობის დახვეწილ სისტემად გარდაქმნა. ასევე, მოქმედი კონსტიტუცია არის აბსოლუტურად დაუხვეწავი ტექნიკური და რედაქციული თვალსაზრისითაც კი. მესამე ამოცანა არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი დოკუმენტი, რომელიც სახელმძღვანელო იქნება ნებისმიერი იურისტისთვის საქართველოში. ჩვენი ახალი რედაქციით, ეს სამივე ამოცანა ზედმიწევნით შესრულებულია“,** – განაცხადა კობახიძემ.



საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საერთო სახალხო განხილვა ქუთაისიდან დაიწყო. უმრავლესობის, საპარლამენტო ოპოზიციისა და მესამე სექტორის წარმომადგენლები უზენაეს კანონში შესატან ცვლილებებს მოსახლეობას გააცნობენ. განხილვები 15 მაისს უნდა დასრულდეს.

# ქუთაისი საპარლამენტო ქალაქად რჩება!

**ქუთაისი საპარლამენტო ქალაქად რჩება,** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქუთაისში, კონსტიტუციური ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვისას, რომელიც ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში მიმდინარეობს.

**„ქუთაისი საპარლამენტო ქალაქად რჩება. ქუთაისში საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა იგეგმება და ქუთაისი ბევრად მეტი იქნება, ვიდრე საპარლამენტო ქალაქი“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# საქართველოში ფიქციური პარტიების დაფინანსებისთვის მილიონობით ლარი იხარჯება!

**საქართველოში ფიქციური პარტიების დაფინანსებისთვის მილიონობით ლარი იხარჯება,** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქუთაისში კონსტიტუციური ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვისას, რომელიც ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა.

პარლამენტის თავმჯდომარემ 20 კვალიფიციური პარტია დაასახელა და საზოგადოებას კითხვით მიმართა, იცნობენ, თუ არა აღნიშნულ პარტიებს.

**„მთავარი სიმახინჯე მხოლოდ ეს არ არის. ეს სისტემა პარტიული სისტემის განვითარებას ხელს უშლის. 20 კვალიფიციური პარტია დაგისახელეთ, სადაც 30 ადამიანია წარმოდგენილი და თუ გინდათ, ეს სისტემა დავტოვოთ და ეს თქვენი ხელფასიდან მილიონობით ლარს წაიღებს“,** – განაცხადა კობახიძემ. პარლამენტის თავმჯდომარე მანდატების გადანაწილების საკითხსაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ უმჯობესი იყო, სხდომაზე მათემატიკოსიც დასწრებოდა.

# „მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსა!“

## ანუ რა იდეები მოდის განათლებული და წესიერი პარლამენტის თავმჯდომარისგან

## პარლამენტის დაკომპლექტების ერთ-ერთი სადავო წესის შესახებ



**პოლიტიკაში წასულ „ყველაფერზე ხელისმომწერ“ ადამიანს პატიოსანი ადამიანი ვერ მოერევა, რადგანაც რასაც სულგაყიდული პოლიტიკოსი ჩაიდენს, იმას წესიერი კაცი გულშიც კი არ გაივლებს. პარლამენტში მყოფი რამდენიმე ან, თუნდაც, ოციოდე პატიოსანი ადამიანი, რომლებიც ცდუნებას უძლებენ და მოუსყიდველებად რჩებიან, საკანონმდებლო ორგანოში ამინდს ვერ ქმნიან**

**2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული მიდის კამათი იმის თაობაზე, თუ როგორ, რა წესით უნდა განაწილდეს ის მანდატები, რომლებიც 5%-იანი საარჩევნო ბარიერის ვერგადამლახავი პარტიების წილად მოდის ხოლმე.** თავიდან განიხილებოდა ორი ვარიანტი: **თანასწორად გადანაწილება** პარლამენტში მოხვედრილ ყველა პარტიაზე (ეს იყო „პატრიოტთა ალიანსის“ მოთხოვნა) და **პროპორციული** – ამ პარტიების მიერ მიღებული ხმების პროცენტული ოდენობის შესაბამისად (ეს იყო ოფიციალური პოზიცია). ყველასთვის მოულოდნელად ექვსი თვის თავზე ამ ვარიანტებს დაემატა მესამეც – **ყველა(!) მანდატს წაიღებს არჩევნებში გამარჯვებული პარტია**. ეს „ქართულმა ოცნებამ“ მოიფიქრა და მას, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმოდგენილს, თავისი წინადადების გატანა, ბუნებრივია, არც უჭირს.

აშკარად იკვეთება „ოცნების“ ჩანაფიქრი – იგი კიდევ დიდხანს აპირებს ხელისუფლების ერთპიროვნულად ფლობას, ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვებას მომავალ არჩევნებშიც – დამოუკიდებლივ და გაუნაწილებელი ხმების მთლიანად მითვისებით ან, თუნდაც, შეამხანაგებულ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად (ამ ორი პარტიის პოზიციები საშინაო და, განსაკუთრებით, საგარეო საკითხებში ხომ არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან). იმდენად სასიამოვნოა ძალაუფლებით ტკბობა და მიღებული პრივილეგიებით უზრუნველყოფილი ცხოვრება, რომ ხელისუფლებაში მოსასვლელად და იქ ყოფნის გასახანგრძლივებლად, როგორც წესი, არაფერს არ თაკილობენ – ამომრჩევლის, ჟურნალისტის თუ საარჩევნო კომისიის წევრის მოსყიდვა-მოქრთამვა ჩვეულებრივი მოვლენაა, შანტაჟით და ცილისწამებით კონკურენტის გზიდან ჩამოცილებაც კარგად აპრობირებული მეთოდია, ხოლო პოლიტიკოსებს (პოლიტიკურ პარტიებს) შორის ბინძური გარიგებები ხომ გადამდები სენივითაა. სწორედ ამიტომაა მიჩნეული პოლიტიკა ბინძურ საქმედ! ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც. პოლიტიკაში წასულ „ყველაფერზე ხელისმომწერ“ ადამიანს პატიოსანი ადამიანი ვერ მოერევა, რადგანაც რასაც სულგაყიდული პოლიტიკოსი ჩაიდენს, იმას წესიერი კაცი გულშიც კი არ გაივლებს. პარლამენტში მყოფი რამდენიმე ან, თუნდაც, ორიოდ ათეული პატიოსანი ადამიანი, რომლებიც ცდუნებას უძლებენ და მოუსყიდველებად რჩებიან, საკანონმდებლო ორგანოში ამინდს ვერ ქმნიან, დროთა განმავლობაში კი, მათი დიდი ნაწილი ხედავს რა თავის უძლურებას, როცა უცხო სახელმწიფოს მიერ გამოკვებილ-გამოზრდილი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ უმრავლესობას თავისი გააქვს და ქვეყანას თავის, ანუ დასავლეთის ჭკუაზე მართავს, ეგუება ბედს – წარუმატებელი, უშედეგო ბრძოლით დაღლილი, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული, ერთხელაც ხელს ჩაიქნევს და სხვა „რჩეულივით“ იწყებს საკუთარ კომფორტზე, საკუთარ ოჯახზე ფიქრს, თავს კი იმით იმშვიდებს, რომ მაინც ვერაფერს ვერ შეცვლიდა.

ოდნავ გადავუხვიე, მაგრამ ეს შემთხვევით არ მომსვლია, პარლამენტის თემას კვლავაც მივუბრუნდები. ახლა კი დაწყებულს გავაგრძელებ. ამომრჩეველთა გაუნაწილებელი, პარლამენტში ვერმოხვედრილი პარტიებისთვის მიცემული ხმები, ანუ **გადასანაწილებელი მანდატების გაყოფის რომელი ვარიანტია სამართლიანი: თანასწორი, პროპორციული თუ ყველაფერი გამარჯვებულს?**

დარწმუნებული ვარ, ამომრჩეველთა 99.9% პროპორციულად ან თანაბრად გაყოფის მომხრე იქნება, და მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნების“ ოჯახის წევრები თუ დაუჭერენ მხარს მესამე ვარიანტს.

ეს ასეა ნამდვილად, მაგრამ, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, არც პირველი ორი ვარიანტია სამართლიანი. რატომ? ახლავე მოგახსენებთ: 2016 წლის საპარლამენტო აჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა ამომრჩევლების (უბნებზე მისულთაგან) 48,68%-მა (რამაც მას მოუტანა 37 მანდატი), „ნაცმოძრაობას“ – 27.11 %-მა (21 მანდატი) და „პატრიოტთა ალიანსს“ – 5.01%-მა (4 მანდატი), ანუ სამივე პარტიამ ჯამში მიიღო 80.80% (62 მანდატი), ხოლო დარჩენილი 19.20%, ანუ 15 მანდატი დარჩა გასანაწილებელი. კეთილი და პატიოსანი, მოდით, ახლა ამ მანდატების სამ პარტიას შორის გაყოფის წესზე შევთანხმდეთო, დაუფიქრებლად იტყვის უმეტესობა. მაგრამ უმეტესობა დაფიქრების დროსაც ცდება ხოლმე, ასე ამ შემთხვევაშიც, რადგანაც **არაფრით არ შეიძლება სხვა პარტიების, სხვა პოლიტიკური კურსის მომხრეების ხმების მისაკუთრება სამართლიანად ჩაითვალოს – ეს დაუფარავი, თანაც, დაკანონებული ძალადობაა!** ჩემი და ჩემისთანების ხმები, რომლებსაც „ქოცების“ და „ნაცების“ კურსი (რუსეთთან დაპირისპირების და ამერიკა-ნატოსკენ სწრაფვის) საქართველოსთვის დამღუპველად მიგვაჩნია და ქვეყნის განვითარების სულ სხვა კურსს ვუჭერთ მხარს, რატომ უნდა გადაინაწილოს ერთმანეთში ამ არაეროვნულმა, კოჰაბიტირებულმა ტანდემმა?! როგორი წესითაც არ უნდა მოხდეს გაყოფა, თუკი ერთის ხმები მის მოწინააღმდეგეს (ხშირ შემთხვევაში – პოლიტიკურ მტრებს) გადაეცემა, ეს ხომ დიდი უსამართლობა იქნება?! ძალიან დიდი!

მოგახსენებთ, თუ პირადად მე რა მიმაჩნია სამართლიანად. დავიწყოთ იმით, რომ დღეს მოქმედი კანონით განსაზღვრულია 5%-იანი საარჩევნო ბარიერი, გუშინ იყო 7%-იანი, ხვალ ან ზეგ შეიძლება 3%-იანი გახდეს (ამას ბევრი პარტია ითხოვს). არავინ არ იწუხებს თავს და არ განმარტავს, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩა ეს კონკრეტი ციფრები – 3, 5 და 7, თავის თავზე რომ იყოფიან მხოლოდ, იმ ნიშნით?! **„5%-იანი ბარიერი არის უპირობოდ** (?! – **ი.ლ.) მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს სტაბილური** (?! – **ი.ლ.**) **საპარლამენტო სისტემა“,** გვარწმუნებს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე.** მისი აზრით, მხოლოდ 5%-იანი ბარიერია მისაღები („უპირობოდ მნიშვნელოვანი“!), 3 ან 7%-იანი (ან სხვა) ბარიერის შემთხვევაში კი, თურმე, არასტაბილური საპარლამენტო სისტემა ჩამოყალიბდება! **„რაც შეეხება ე.წ. ბონუსს** (?! – **ი.ლ.**), **ანუ გაუნაწილებელი მანდატების განაწილებას, ამასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმისთვის, რომ საქართველოში გაგრძელდეს სტაბილური განვითარება დემოკრატიული პროცესების“** (იქვე). მოდი და ნუ გაგეცინება მწარედ – როდის აქეთ გახდა სხვებისთვის მიცემული ხმების მითვისება „ე.წ. ბონუსი“, საჩუქარი?! ამგვარ ქმედებას ხომ სხვა სახელი – მოპარვა, ქურდობა ჰქვია, ხოლო მის დაკანონებას – სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა, უთოფო ყაჩაღობა! და კიდევ, ყველა გაუნაწილებელი მანდატი არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიამ თუ არ დაისაკუთრა და ისინი სხვაგვარად გადანაწილდაო, მაშინ, თურმე, „დემოკრატიული პროცესების სტაბილური განვითარება“ შეჩერდება, აღარ გაგრძელდება, ერთი სიტყვით, დავიღუპებით! **შემირცხვენია ისეთი დემოკრატია, რომელსაც სხვისი ხმების დასაკუთრების გარეშე განვითარება არ უწერია.** მოკლედ, ნაცვლად ახსნა-განმარტებისა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისა, რაც ყველა დეპუტატს და, მით უფრო, პარლამენტის თავმჯდომარეს მოეთხოვება ნებისმიერი კანონპროექტის განხილვისას, ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც (ციტირებულ მოსაზრებებს ვგულისხმობ) ადგილი აქვს მხოლოდ უსაფუძვლო და კატეგორიულ მსჯელობას. სამწუხაროდ, იგი მოდის განათლებული და წესიერი კაცისგან (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე მეგონა).

ახლა ვნახოთ, თუ როგორ გადანაწილდა დარჩენილი 15 მანდატი 2016 წლის პარლამენტში გასულ სამ პარტიას შორის. თანაბრად განაწილების შემთხვევაში თითოეულს უნდა მიეღო 5-5 მანდატი, პროპორციულად განაწილებისას „ქართულ ოცნებას“ შეხვდებოდა 9, „ნაცმოძრაობას“ – 5, „პატრიოტთა ალიანსს“ – 1, ახლა შემოთავაზებული წესით კი გამარჯვებული „ოცნება“ 15-ვე მანდატს წაიღებდა. გაყოფა მოხდა გაუგებარი შერეული წესით: „ოცნებას“ – 7 მანდატი, „ნაცმოძრაობას“ – 6 და „ალიანსს“ – 2, ანუ გამარჯვებულმა „ოცნებამ“ „თავისი“ ორი მანდატი დიდსულოვნად გაუნაწილა „ნაცებს“ და „პატრიოტებს“. რა ედო ამ შეთანხმებას, უფრო კი გარიგებას საფუძვლად, ეს თავად იციან. აბა, ამომრჩეველს როდის იყო სიმართლეს ეუბნებოდნენ ან რამეს ეკითხებოდნენ!

მართალია, პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც კანონებს ხმების უმრავლესობით იღებს (უბრალო ან საკონსტიტუციო უმრავლესობით, კანონს გააჩნია), მაგრამ, იგი, პირდაპირი მნიშვნელობით ხომ „სალაპარაკო“, ანუ ხალხის ყველა ფენის გულისნადების საჯაროდ, მაღალ დონეზე გამოსათქმელი ადგილიც არის არჩეული დეპუტატების საშუალებით. ჰოდა, თუკი ასეა, მაშინ **რატომ უნდა წავართვათ ხმა უმცირესობას, რომელსაც თუნდაც ერთი მთქმელის, ერთი დეპუტატის გაყვანა მაინც შეუძლია.** და მისი მანდატი ისედაც უმრავლესობაში (ზოგჯერ, მთლად საკონსტიტუციო უმრავლესობაში) მყოფ პარტიას გადავცეთ? განა ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება? მხოლოდ თავგასული და უსინდისო ადამიანი თუ იტყვის, რომ უმცირესობის ხმები (ჯამში, თითქმის, ერთი მეხუთედი!) მხოლოდ გამარჯვებულ ან, თუნდაც პარლამენტში გასულ პარტიებს უნდა გადაუნაწილდეს. ამ პროცენტების დამგროვებელი – ურნებთან მისული 350 ათასი ამომრჩევლისთვის (საერთო რაოდენობიდან კი – 700 000-თვის) მთავარია თავისი არჩეული წარმომადგენელი ჰყავდეს პარლამენტში, სხვა შემთხვევაში კი მას დიდად არც ანაღვლებს, თუ ვინ და რამდენი პარტია როგორ დაეპატრონება ამ ხმებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **საარჩევნო ბარიერი** უნდა იყოს არა რაღაც ყურით მოთრეული, არაფერთან მიბმული (დაკავშირებული) სიდიდე, არამედ იგი **უნდა განისაზღვრებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პროცენტი ხმებისა არის საჭირო ერთი დეპუტატის გასაყვანად.** მაგალითად, თუ საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატიდან ყველას პროპორციული წესით, ანუ პარტიული სიებით ავირჩევთ (როგორც დაგეგმილია ეს მომავლისთვის), მაშინ საკმარისი იქნება ხმების 0.66%, განვლილ 2016 წლის არჩევნებში კი, როდესაც 77 დეპუტატი აირჩეოდა ამ წესით, ერთი დეპუტატის გაყვანას 1.30% სჭირდებოდა. ასე რომ, ერთი დეპუტატისთვის სამყოფი ხმების პროცენტული სიდიდე (განებავთ, ბარიერი დავარქვათ მას) დამოკიდებული უნდა იყოს პროპორციულად ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობაზე და, აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ პრინციპი, კრიტერიუმი არ უნდა იცვლებოდეს.

განვლილ არჩევნებში პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიებიდან 1.30%-ზე მეტი ხმა ხუთმა პარტიამ მიიღო, ხოლო დანარჩენმა 17-მა კი, საერთო ჯამში მხოლოდ – 2.90%. ასე რომ, ბარიერის დაწევის შემთხვევაშიც ყოველთვის დარჩება რაღაც რაოდენობა გაუნაწილებელი ხმებისა, მაგრამ არა 20%, არამედ ბევრად ნაკლები და 2.9%-ისთვის კუთვნილი ორი მანდატის მფლობელიც სულ ადვილად გაირკვევა იმ 17 პარტიის ურთიერთშეთანხმებით (თავმჯდომარეების მიერ ერთმანეთისთვის მიცემული ხმებით), რომელთა მიერ მიღებულმა ხმებმაც შეადგინა ეს 2.9%. სწორედ ეს იქნება სამართლიანი განაწილება და უკმაყოფილოც არავინ დარჩება.

რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ, **ამ წესით შესაძლებელი გახდება ამომრჩეველთა ხმების ყველაზე მიუკერძოებელი განაწილება და პარლამენტიც უფრო მრავალფეროვანი გახდება – მასში, პრაქტიკულად, ყველა ამომრჩევლის კანდიდატი იქნება წარმოდგენილი.** ამომრჩეველს აღარ ექნება იმის განცდა, რომ მისი ხმა შეიძლება დაიკარგოს და, კიდევ უფრო უარესის – ვის წინააღმდეგაც გამოდიოდა მთელი ცხოვრება, ვის წინააღმდეგაც მისცა ხმა, სწორედ იმ პარტიას მიაკუთვნონ!

ეს უტყუარია, მაგრამ სხვა საკითხია, თუ რამდენად სასარგებლოა ასეთი მრავალფეროვნება (განებავთ, სიჭრელე) კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის. გადაწყვეტილებების მიღებაში ხელის შეშლა განსაკუთრებით მაშინ გახდება თვალში საცემი, როდესაც არცერთ პარტიას არ ექნება უბრალო უმრავლესობაც კი. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის კულისებს მიღმა გარიგებებს აქვს ადგილი პრინციპით: „მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს“. უდავოა, რომ ქვეყნის სამართავად ყველაზე ეფექტური არის, როდესაც მთელი ძალაუფლება ერთი პარტიის ხელშია, ანუ როდესაც მას საკონსტიტუციო უმრავლესობა გააჩნია პარლამენტში, როგორც ეს აქვს „ქართულ ოცნებას“ დღეს, მაგრამ... **უდავოა ისიც, რომ ასეთი მმართველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, თუკი ეს უმრავლესობა დამოუკიდებელია და პატიოსნად ემსახურება თავის სამშობლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ როცა სხვისი კარნახით მოქმედებს და უკითხავად ერთი ნაბიჯის გადადგმა, ერთი კანონის მიღებაც არ შეუძლია, იგი დამღუპველია! კიდევ უფრო უკეთესია, თუკი ძალაუფლება არა პარლამენტშია თავმოყრილი 3/4 დეპუტატების ხელში, არამედ, როცა იგი ერთი კაცის, პრეზიდენტის ხელშია. მაგრამ ეს მტკიცებაც ასევე სწორია მხოლოდ დამოუკიდებლად მართვის პირობებში.** იმის შესახებ, თუ საპარლამენტო მმართველობასთან შედარებით რატომ აქვს უპირატესობა საპრეზიდენტოს, სხვა დროს მოგახსენებთ.



**იაკობ ლეჟავა**

# ნანა კაკაბაძე: წყალწაღებული მეუფე პეტრე ხავსს ეჭიდება!

**უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ „რეპორტიორთან“ ე.წ. ციანიდის საქმეზე ისაუბრა და მეუფე პეტრეს მიერ „რუსთავი 2“-ის ეთერში გაკეთებული ბოლო განცხადებები შეაფასა. მისი თქმით, მეუფე პეტრე ცაავა კუთხეში მიმწყვდეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.**




**— მეუფე პეტრემ „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს პროვოკაცია მოუწყვეს. მან ასევე ისიც აღნიშნა, რომ თანამზრახველები არა მამა გიორგის, არამედ პატრიარქის მდივან-რეფერენტს შორენა თეთრუაშვილს ჰყავს. ამასთან დაკავშირებით რა შეფასებას გააკეთებთ?**

— მეუფე პეტრე იმდენად გასცდა ყველანაირ ზღვარს და ჩარჩოებს, მისი ქმედება იმდენად ამოვარდნილია იმ სფეროდან, რომლის წარმომადგენელიც ის თითქოსდა არის, ძალიან ძნელია მისი შეფასება და საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ მას აეკრძალა საჯარო გამოსვლები და მითუმეტეს, არასწორი ინფორმაციების მიწოდება, „რუსთავი 2“-ზე ბოლო გამოსვლით მან აჩვენა, რომ ის მარტო პატრიარქის წინააღმდეგ კი არა, მთლიანად სინოდის გადაწყვეტილებების წინააღმდეგაც მიდის. ეს ადამიანი დარჩა მარტო. ერთ მხარეს არიან უწმინდესი, სინოდი და მთელი სამღვდელოება. მეუფე პეტრემ თავად ჩაიყენა თავი განკვეთილის მდგომარეობაში. მე არ ვიცი დღეს სასულიერო პირი, რომელიც მის პოზიციებს იზიარებს ან მის გვერდით დგას. სამწუხაროდ, მეუფე პეტრეს ადამიანური დაპირისპირება თუ შური ამოძრავებს და ათქმევინებს რეალობასთან შეუსაბამო აზრებს, რომელსაც ის, უმეტეს შემთხვევაში „რუსთავი 2“-ის ეთერით აჟღერებს. თუმცა ამისი აკრძალვა ძალიან ძნელია, რადგან თუ ის აღარ მოიაზრებს თავს საპატრიარქოს ნაწილად და არ ასრულებს მის განკარგულებებს, ამ შემთხვევაში ადამიანი თავისუფალია და რაც უნდა, იმას გააკეთებს.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მეუფე პეტრეს ამ საქმეში?**

— მეუფე პეტრე დაინტერესებულ მხარედ უფრო ჩანს, ვიდრე ვიღაცის დამცველად და შეიძლება ყველაფერი უფრო მის ირგვლივ ტრიალებდეს, ვიდრე მამა გიორგის. ის ამ საქმეში არ არის ნეიტრალური პირი და ნეიტრალური პოზიციებიდან არ საუბრობს. ის ცილისწამებები, რომელსაც სხვა ადამიანების მიმართ ახორციელებს, რჯულის კანონითაც კი დასჯადია, ანუ მეუფე პეტრე არ ცნობს არანაირ სამართალს. როდესაც თავის თავს ასეთ მდგომარეობაში იყენებს, მისი ინტერესი ერთმნიშვნელოვანია. რა ალაპარაკებს, თუ არა ინტერესი? რა ინტერესი აქვს? რა ფორმით არის ის ამ საქმეში მონაწილე? ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების პრეროგატივაა. მე უბრალოდ ვხედავ, რომ „რუსთავი-2“ და პეტრე ცაავა არ არიან თავიანთ ამპლუაში და სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე საუბრობენ. ამ თემაზე „რუსთავი-2“-ის პირველი გადაცემიდან უნდა დაიწყოს გამოძიება, რა ინტერესი ჰქონდა, რა ინფორმაცია ჰქონდა, საიდან ჰქონდა, რადგან ეს ყველაფერი შესაძლოა ერთიან ჯაჭვში აღმოჩნდეს. გამოძიება უფრო ფართოდ უნდა ხედავდეს ამ საქმეს, ვიდრე უბრალოდ ციანიდის ამოღება.

**— მეუფე პეტრემ „ციანიდის საქმე“ შეადარა „ჯინსების თაობას“ იმ კონტექსტში, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დასჭირდა სამღვდელო პირი. როგორ ფიქრობთ, რისი თქმა უნდა ამით მეუფე პეტრეს?**

— „ჯინსების თაობა“ იყო პოლიტიკური პროტესტი ახალგაზრდების მხრიდან და ამ პოლიტიკური პროცესის გაიგივება ხელისუფლებას უნდოდა არა თავის თავთან, არამედ უნდოდა იმის დემონსტრირება, რომ ეკლესიამ პროტესტი თავს მოახვია ახალგაზრდებს. რა შუაშია პატრიარქის სიცოცხლის ხელყოფა ამ თემასთან? ასეთი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ფაქტი ბუნებაშიც არავის შეუდარებია ერთმანეთისთვის. საკითხი დგას პატრიარქის სიცოცხლის ხელყოფაზე მეტი ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. მამა გიორგი ჩანაწერებშიც ღიად საუბრობს. იგი ამბობს, რომ მისი თანამდებობა იყო საპატრიარქოში შეღწევის საშუალება და ასახელებს კონკრეტულ თანამდებობებს, რომლის დაკავებაც უნდა, რათა ძალაუფლება მთლიანად აეღო იმ ჯგუფს, რომელსაც მამა გიორგი მამალაძე წარმოადგენდა. რა შუაშია ამასთან საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ამბოხებული ახალგაზრდების ქმედება? მღვდელი ყველა კონტექსტში შეიძლება იყოს ნახსენები. ამიტომ ვამბობ, რომ მეუფე პეტრე აცდენილია ყველანაირ საღ, რეალურ აზროვნებას. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ სადღაც კუთხეშია მიმწყვდეული, თავდაცვის მექანიზმად აირჩია არასწორი გზა და წავიდა ყველას წინააღმდეგ. იმ ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელსაც ყველაზე მეტი ნდობა აქვს საზოგადოებაში. როცა სინოდისა და პატრიარქის წინააღმდეგ მიდიხარ, ბუნებრივია, რომ რასაც არ უნდა ლაპარაკობდე, საზოგადოების მხარდაჭერა ვერ გექნება. თუნდაც, როცა ამბობდა, რომ 40 წლის განმავლობაში პატრიარქი ინფორმაციულ ვაკუუმში იყო და მხოლოდ მას ჰქონდა ინფორმაცია, თავისთავად, ეს პატრიარქის დაკნინების მცდელობაა. როცა ყველასთვის უსაყვარლესი და ავტორიტეტული ადამიანის გარშემო მითებს ქმნი და სიცრუეს ავრცელებ, აქ შორენა თეთრუაშვილს მოიშველიებ თუ ვინმე სხვას, რეალურად ხომ პატრიარქს ებრძვი და მას აგინებ?! აქედან გამომდინარე, მისი კუთხეში მიმწყვდეულის პოზიცია ჩემთვის ძალიან თვალშისაცემია. წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდებოდა, ამ სიტუაციაშია დღეს და აქედან გამომდიანარე, ძალიან რთულია ასეთი ადამიანის ქმედებების შეფასება. ვფიქრობ, რომ ძალიან მალე, სასამართლოს დასრულების შემდეგ ეს ყველაფერი ჩადგება თავის ჩვეულ რიტმში და ყველაფერი გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი.

**მარიამ პაიჭაძე**



## გამოძიება გრძელდება

**ე.წ. ციანიდის საქმის პროკურორის ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, საქმეზე გამოძიება დეკანოზ გიორგი მამალაძის ნაწილში დასრულებულია, გამოძიება სხვა თანამზრახველების გამოვლენის მიზნით გრძელდება.**

გუშინდელი პროცესის დაწყებამდე მან აღნიშნა ასევე, რომ ბრალდებას უტყუარი მტკიცებულებები აქვს.

**„დასრულდა გამოძიება და მოსამართლე ამ მტკიცებულებების დასაშვებობას შეაფასებს. ჩვენ გვაქვს ვიდეო და აუდიოჩანაწერები, რაც უტყუარი მტკიცებულებებია. ჩვენ დავადასტურებთ მის დანაშაულს. გამოძიება მამალაძის ნაწილში დასრულდა და გრძელდება სხვა თანამზრახველების გამოვლენის მიზნით“,** — აღნიშნა პროკურორმა. მისივე თქმით, ბრალდების მხარეს კანონიერი მიზეზი აქვს პროცესის დახურვაზე.

## საპატრიარქო ე.წ. ციანიდის საქმეზე სხდომის საჯაროობის მომხრეა

**საპატრიარქო ე.წ. ციანიდის საქმეზე სხდომის საჯაროობის მომხრეა.** საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ საქმეზე სხდომის დახურვის შემდეგ განაცხადა, რომ საპატრიარქოს დასამალი არაფერი აქვს. მისივე თქმით, კატეგორიულად მიუღებელია პროკურატურის არგუმენტი, რომელიც ეკლესიის იმიჯის შელახვას ეხება.

**„პროკურატურის არგუმენტი, რომ ეს ხდება ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე და იმისთვის, რომ ეკლესიის იმიჯი არ შეილახოს, კატეგორიულად მიუღებელია, რადგან განსაცდელის დროს საპატრიარქო და ეკლესია ძლიერდება. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. საპატრიარქოდან არ ყოფილა არანაირი მითითება თუ თხოვნა, რომ რაიმე დაემალათ, მითუმეტეს წინასასამართლოზე, სადაც მხოლოდ მტკიცებულებების ჩამონათვალია. დღეს საქართველოს საპატრიარქოს იმიჯის პროცესი არ მიმდინარეობს. აქ არის კონკრეტული ბრალდება კონკრეტული პირის მიმართ, ამიტომ ჩვენ მოვუწოდეთ მამა გიორგისაც, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც აქვთ, საჯარო გახადონ. ჩვენ გამოვდივართ საჯარო ინტერესიდან“,** — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

## თბილისის ინტერპოლმა წითელი ცირკულარით ძებნილი პირი დააკავა

**თბილისის ინტერპოლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს პირველი განყოფილების სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლი „სარფის“ თანამშრომლებმა საქართველოში შემოსვლისას ბრიუსელის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი, 1963 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ე.ე. დააკავეს.**




შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული დამნაშავედ არის ცნობილი ბელგიის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 461-ე და 473-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობას და თავდასხმით ქურდობას გულისხმობს. დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

## ფსიქოტროპული აფთიაქის 18 ხელმძღვანელი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე 36 სხვადასხვა ფსიქოტროპული აფთიაქის 18 ხელმძღვანელი პირი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული.**

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დიდი ოდენობით შემოსავლების მიღების მიზნით, საქართველოში მდებარე 36 სააფთიაქო დაწესებულებიდან მოქალაქეებზე, მათ შორის, არასრულწლოვან პირებზე, სისტემატურად ხდებოდა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეცეპტის გარეშე რეალიზაცია, რითიც დანაშაულებრივი საქმიანობის განმახორციელებელი პირები ხელს უწყობდნენ ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიას“ და საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

გამოძიების მიმდინარეობისას დადგენილ იქნა, რომ ხსენებული 36 აფთიაქის მიერ 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით (3 წლის განმავლობაში) პერიოდში, ყოველგვარი რეცეპტის გარეშე, რეალიზებულ იქნა 14 590 866 ერთეული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული მედიკამენტი, რითიც აფთიაქის ხელმძღვანელმა პირებმა უკანონოდ მიიღეს ჯამში 15 011 488 ლარის ოდენობის შემოსავალი.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით.

## ჯავახიშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამო სამი პირი დააკავეს!

**თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე სამი პირი დააკავეს.**

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მომხდარი ციხეში დაწყებულ დაპირისპირებას უკავშირდება.

**ცნობისთვის, ჯავახიშვილის №46-ში ოთხშაბათს საღამოს ახალგაზრდა კაცს ავტომობილში ცეცხლი გაუხსნეს. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.**



# SOS: ვაითუ, მთელი საპუტინო ასე ფიქრობს



**„ერთმორწმუნე რუსეთის“ თემა საქართველოსთვის არახალია და მიუხედავად იმისა, რომ მისი პირველად გაჟღერებიდან გასული მრავალი წლის განმავლობაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რამდენად შეიძლება „ერთმორწმუნე რუსეთის“ ნდობა, ეს ნარატივი დღემდე აქტიურად გამოიყენება. და არა მარტო გამოიყენება, ზოგ ქართველში ნდობასაც ჰპოვებს. ერთ-ერთი, ვინც წარსულშიც ხშირად მიმართავდა „ერთმორწმუნეობის“ თემას და დღესაც სიამოვნებით იყენებს მას, ალექსანდრე დუგინია — რუსი საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი და სოციოლოგი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერი.**

**მათთვის, ვისაც სჯერა „ერთმორწმუნეობისა“ და სხვა იდეების, რომელიც რუსული „რბილი ძალის“ მეშვეობით ითესება, ბატონი დუგინის ერთ-ერთი ტელეინტერვიუ ვთარგმნეთ, რომელშიც ის დეტალურად განმარტავს საკუთარ ხედვას 2008 წლის ომის, შემდგომი მოვლენების, საქართველოში რუსეთის მიზნების და მათი მიღწევის გზების თაობაზე.**

## ალექსანდრე დუგინი:
# თუ საქართველოს ოკუპაცია მოგვიწევს, ეს უნდა გავაკეთოთ!

„საქართველოში ამჟამად ძალზე საინტერესო სიტუაციაა. ვენაში ვიმყოფებოდი და მომიწია შეხვედრა ქართული ოპოზიციის ლიდერებთან. ერთმანეთს ძალზე არასასიამოვნო მოსაზრებები გავუზიარეთ რუსეთის თაობაზე. მთლიანობაში, მათი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მოწინააღმდეგე არაა, რუსეთის მიმართ სიმპათიითაა განწყობილი, ნაწილი — არა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მოწინააღმდეგეა. მაგრამ ყველაზე მეტად სხვა რამემ გამაოცა: მათმა ნაამბობმა იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებდნენ ქართველები იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოში ხანდახან საქართველოს ტერიტორიებს ვბომბავდით. ქართველებმა თურმე თქვეს: „ოჰ, ეს ცუდი რუსები, გვბომბავენ და თუკი გვბომბავენ, რატომ არ გაგვაცლიან სააკაშვილს? თუკი დაიწყეს ჩვენთვის ცუდის კეთება, რაიმე კეთილიც გამოურიონ — გაგვათავისუფლონ ამ მახინჯისგან (სააკაშვილისგან)! — მაშინ ის სირცხვილი, პრობლემები, უსიამოვნებები და მსხვერპლი, რომელიც გავიღეთ, გამართლებული მაინც იქნება! დაიწყეთ დაბომბვა? — კი ბატონო, გვბომბეთ! წამოვიდნენ ტანკები თბილისზე? — ჰოდა ჩააღწიონ თბილისამდე და ნუ ჩერდებიან სადღაც გორში და კოდორშიო!“...



რაც მოხდა, ჩემი აზრით, მოვლენათა განვითარების ყველაზე არასასიამოვნო ვარიანტი იყო. რა თქმა უნდა, ის, რომ საერთოდ გადავდგით ეს ნაბიჯი, თავისთავად საოცარია: ჩვენ გამოვიჩინეთ სიმამაცე, ჩვენ შევედით აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ თუკი დავიწყეთ, რატომ არ მივიყვანეთ საქმე ბოლომდე, რატომ არ ავიღეთ თბილისი?! ისინი (ქართველები) ხომ მზად იყვნენ, ჩვენ მხარეს გადმოსულიყვნენ! ერთ-ერთი ქართული პარტიის ლიდერი მიყვებოდა, რომ მას ურეკავდნენ გორის რაიონიდან, გორიდან, როცა იქ ჩვენი ჯარები შევიდნენ. მან უთხრა, „მოვდივარ თქვენთან, ახლა ტრაგედია დაიწყება და მარტო არ დაგტოვებთ, თქვენთან ვიქნებიო“. ერთ საათში კი ისევ დაურეკეს, „ნუ ჩამოხვალ, აქ სუფრა გვაქვს გაშლილი და რუს ტანკისტებთან ერთად ვსვამთო“... და ამას ამბობდა ქართველი, რომელიც, სხვათა შორის, რუსების მიმართ დიდ სიმპათიას არ გრძნობდა“

აი, ეს იყო იმჟამინდელი რეალობა, ამიტომაც „ტანკები თბილისზე“ — ეს ქართული ლოზუნგი იყო, ასე სურდა ქართველ ხალხს! მაგრამ ჩვენ გავჩერდით და კვლავ დავემორჩილეთ „მეხუთე კოლონის“ ზეწოლას! ის (მეხუთე კოლონა) ჯერ გვეუბნებოდა, არ შეგვეყვანა ჯარები, დაგვეტოვებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ცხვირი არ შეგვეყო საქართველოში, თორემ საერთაშორისო თანამეგობრობასთან კონტაქტებს დავკარგავდით, მაგრამ პირველ ჯერზე ჩვენმა ხელისუფლებამ არ დაუჯერა; უკვე ომის შემდეგ (მეხუთე კოლონა) გვეუბნებოდა, არ გველიარებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, თორემ საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთს საბოლოოდ გარიყავდა, მაგრამ ჩვენ არც მეორე ჯერზე წამოვეგეთ; ხოლო როდესაც აგვისტოს ტრიუმფის ფონზე არსებობდა თბილისის რეალური აღების შესაძლებლობა, აი აქ — ანუ უკვე მესამე ჯერზე ჩვენი ხელისუფლება რატომღაც დაემორჩილა (მეხუთე კოლონას)! რატომ?! ამ „მეხუთე კოლონას“ საერთოდ რატომ ვუსმენთ? ის ხომ საერთოდ სადღაც სხვაგან უნდა იყოს, მაგალითად, თავის პატრონებთან, ან კიდევ სადმე“ და სულაც არ უნდა არსებობდეს! ჩვენ კიდევ როგორ ვექცევით? — მისი ყველაზე საშინელი წევრები კი გავაგდეთ, მაგრამ ნაკლებ საშინელები, რომლებიც მზად არიან, ხელისუფლებას დითირამბები უმღერონ, დავტოვეთ! არადა, ის გაგდებულები პირდაპირები მაინც იყვნენ და ალალად ამბობდნენ, საქართველოში არ შევსულიყავით, ის ნაწილი კი, რომელიც დავტოვეთ, სწორედ ისაა ყველაზე ცბიერი და საშიში!

ჯამში, იმით, რომ თბილისში ჯარები არ შევიყვანეთ, რაც ქართველებს სურდათ, ჩვენ დარტყმის ქვეშ დავაყენეთ ისინი საქართველოში, ვინც ჩვენი მოკავშირე შეიძლებოდა, გამხდარიყო. და ისევ ხელიდან გავუშვით მომენტი. ამერიკელებმა ამით ისარგებლეს და უკვე „ჩავარდნილი“ სააკაშვილის ალასანიათი შეცვლის მცდელობები წამოიწყეს — კიდევ უფრო მეტი პროამერიკელით, მაგრამ ახალი, ქორფა ადამიანით. ამ ვითარებაში, ჩემი აზრით, მართებული იქნებოდა, პირიქით, სააკაშვილის რაც შეიძლება, მეტი ხნით დარჩენისთვის შეგვეწყო ხელი, რადგან სააკაშვილი დაუფარავი მტერი იყო, დაუფარავი ბოროტება, დისკრედიტირებული ქართველი ხალხის თვალში, ჩვენ კი ჩვენი მოდელი უნდა გვეშენებინა...

მაგრამ აქ ჩნდება კიდევ ერთი მომენტი: და რა სურს რუსეთს საქართველოსგან? გაგვაჩნია თუ არა რაიმე პროექტი საქართველოსთან მიმართებაში, რაიმე გეგმა? და საერთოდ, ვაკეთებდით თუ არა რამეს მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოს ჩვენთან დასაახლოებლად და იმისათვის, რომ იგი სხვაგვარად მოქცეულიყო 2008-ის აგვისტოშიც და ზოგადად მთელი ამ წლების განმავლობაში? რა თქმა უნდა, ყველაზე ადვილი იმის თქმაა, რომ ქართველები ცუდები არიან, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის! ქართველები განსაკუთრებული, სპეციფიკური ხალხია, კი ბატონო, მაგრამ ნებისმიერ ერს აქვს თავისი სპეციფიკა. და ჩვენ რა შევთავაზეთ მათ? თავის დროზე ჩვენ გავიყვანეთ იქიდან აჭარის ექსლიდერი აბაშიძე, ჩვენითვე, ჩვენი დამთმობი პოლიტიკითა და ჩამოუყალიბებლობით ვუხსნიდით ხელს და ვაძლევდით შესაძლებლობას პროამერიკულ ძალებს, სრულიად თავისუფლად ემოქმედათ. ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერანაირი სერიოზული პოლიტიკური ძალები, ვერც მემარჯვენე და ვერც მემარცხენე: აქაოდა, მემარცხენეებს — კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს ან ლეიბორისტებს არ ვაღიარებთო; მემარჯვენე ნაციონალისტებს ასევე არ ვაღიარებთ — ნაციონალისტები არიანო; პრორუსული ლიბერალები კი იქ საერთოდ არ არიან — ლიბერალები ყოველთვის და ყველგან პროამერიკელები არიან. და აი, ჩვენ ვეჯახებით სრულიად იდიოტურ სიტუაციას: არ გვაქვს არანაირი გეგმა...

**არადა, საქართველოში არიან ადამიანები, პოლიტიკოსები, რომლებსაც შეუძლიათ, საინტერესონი და ხელსაყრელნი იყვნენ ჩვენთვის. მათ რიცხვში არიან ნათელაშვილის ქართველი ლეიბორისტებიც, ქართველი ნაციონალისტებიც, მკვეთრად პრორუსული ძალებიც, აფხაზური ძალებიც... — მოკლედ, საკმაოდ ჭრელი და ფართო სპექტრი. მკაცრად პრორუსული მათ შორის მხოლოდ იგორ გიორგაძეა. საკუთრივ საქართველოში მყოფთაგან კი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ძალა, რა თქმა უნდა, ქართველი ნაციონალისტებია — არა იმიტომ, რომ ისინი რუსეთს დაუჭერენ მხარს, არამედ იმიტომ, რომ მხარს უჭერენ საქართველოს და მიხვდებიან, რომ რუსეთის გარეშე საქართველო უბრალოდ ვერ იარსებებს, დაიშლება. აი, ეს რაციონალური ქართველი ნაციონალისტებია ის სეგმენტი, რომელთანაც უნდა გვემუშავა. ამერიკელები ამას მიხვდნენ და დაიწყეს პროამერიკელი ნაციონალისტის — ალასანიას ლობირება. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში კიდევ უფრო უარეს მდგომარეობას მივიღებდით: ის კვლავ დაიწყებდა საუბარს ნატოს ბაზებზე, ამერიკულ ბაზებზე და ყველაფერი კვლავ იმ წერტილს დაუბრუნდებოდა, საიდანაც დავიწყეთ...**

აქედან გამომდინარე, მინდა, რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა საუბრის დასაწყისში ნახსენებ შეხვედრასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ქართველი ოპოზიციონერები ძალზე მკაცრად და, ჩემი აზრით, სამართლიანად აკრიტიკებდნენ რუსეთის ქმედებებს.

ჩვენთვის მთავარი ამოცანა საქართველოში ამერიკული ბაზების არარსებობის უზრუნველყოფა უნდა იყოს. თუ იქ ამერიკული ბაზები განთავსდება, ჩვენ წავაგეთ, თუ არა — მოვიგეთ.

როგორ მივაღწიოთ ამას? ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს:

1) შეგვიძლია, მაგალითად, დავუახლოვდეთ საქართველოს, გადავდგათ გარკვეული კომპრომისული ნაბიჯები, თუმცა აქ შეზღუდულები ვართ იმ მოცემულობით, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღება არ იქნება. ეს გამორიცხულია! შესაბამისად, ჩვენ განსაკუთრებულს ვერაფერს შევთავაზებთ საქართველოს, ხოლო მასთან მეგობრობა ამერიკული ბაზების საწინააღმდეგოდ იმ პირობებში, როცა ვერაფერს ვთავაზობთ, გეოპოლიტიკურად შეუძლებელია;

**სხვათა შორის, ქართველებიც, რომლებიც ნამდვილი მამაკაცები არიან, ძალზე მტკივნეულად აღიქვამენ მომხდარს: მათთვის რუსეთი მტერია, ხომ? და გვეუნებიან: „ჩემზე ძლიერი ხარ? ჰოდა, იყავი მამაკაცი, აიღე ჩემი დედაქალაქი, თქვი, რომ შენ ხარ აქ ბატონი“. ჩვენ შეიძლება, არ შეგიყვაროთ, მაგრამ დაგემორჩილებით, რადგან შენ ნამდვილი მამაკაცი იქნები, როცა დაგვიპყრობო...“.**

2) განვიხილოთ ეკონომიკური გზა: ჩვენ შეგვიძლია, გავაძლიეროთ საქართველოზე ეკონომიკური ზეწოლა და შევქმნათ გარკვეული ეკონომიკური პრეფერენციების სისტემა, იგივე — ენერგეტიკის მიმართულებით. მაგრამ ეს გზა ნაცადია და ამან არ იმუშავა;

3) ჩვენ შეგვიძლია საქართველოს ოკუპირება. ამისათვის ჩვენ გარკვეული საბაბი გვჭირდება, მაგრამ როგორც ისტორიიდან ვიცით, საბაბი, რომც არ არსებობდეს, ადვილად იქმნება. მე ამ ვარიანტს არ გამოვრიცხავ. იმისათვის, რომ იქ ამერიკული ბაზები არ გაჩნდეს, თუ საქართველოს ოკუპაცია მოგვიწევს, ეს უნდა გავაკეთოთ — ნებისმიერი მეტ-ნაკლებად აზრიანი საბაბით, ან სულაც მის გარეშე... უკაცრავად და რა საბაბით შეიჭრა აშშ ერაყში? პირადად მე მსგავსი მეთოდების დიდი მომხრე არ ვარ, მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა!

ერთი სიტყვით, ან ვიმარჯვებთ საქართველოში, რაც იქ ამერიკული ბაზების არდაშვებას ნიშნავს, ან საერთოდ აღარ ვისახავთ არანაირ მიზანს საქართველოსთან მიმართებაში და ყველაფერს თვითდინებაზე ვუშვებთ. და ასეთ შემთხვევაში ამერიკელები არ ზიან უსაქმოდ, ისინი იქ საკუთარ ადამიანს სვამენ — სამხედრო ბაზების განსათავსებლად. სააკაშვილის, ალასანიას თუ ნებისმიერი სხვა ვინმე ახლის პირობებში ამერიკელებს მკაფიო გეგმა აქვთ: გაიმყარონ პოზიციები საქართველოში ან ასე, ან ისე. შესაბამისად, თუ ჩვენ ამის არდაშვება გვსურს, ამისათვის ნებისმიერი საშუალება უნდა გამოვიყენოთ — მშვიდობიანიც, ვთქვათ, ეკონომიკურიც, თუ ეს, რა თქმა უნდა, ეფექტურია, სამხედროც — ოღონდ ისიც ეფექტური უნდა იყოს, ანუ თუ დავიწყებთ ომს, ის უნდა მოვიგოთ და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, ანუ თბილისი ავიღოთ; თუ ხელისუფლებაში პრორუსული ძალების მოყვანას გადავწყვეტთ, ასეთი საქართველოში ამ დროისთვის ბევრი არ არის, მაგრამ ეს საქმეც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ; თუ სხვა სუბიექტებს ვიპოვით საქართველოში ჩვენი გეგმების განსახორციელებლად და ამერიკული ბაზების არგანთავსების უზრუნველსაყოფად, უნდა ვიპოვოთ ასეთი სუბიექტები და ეს გავაკეთოთ. ზოგადად, უნდა ავირჩიოთ ის გზა, რომელიც ყველაზე ეფექტური იქნება, და ყველაზე ჰუმანურიც, რა თქმა უნდა, თუ ამ ორი ნიშან-თვისების შეთავსება იქნება შესაძლებელი“ ომი ანტიჰუმანურია, ამდენად, ეს უკანასკნელი გზა უნდა იყოს, მაგრამ ამერიკული ბაზები უარესია, ვიდრე საქართველოსთან ომი.

ეს უმარტივესი ლოგიკაა, ეს არ არის ომის ან იმპერიალიზმის პროპაგანდირება. თუ საქართველოში ამერიკული ბაზები არ იქნება, ჩვენ შეგვიძლია, საქართველო არ მივიერთოთ; მეტიც, ის შეიძლება, ნეიტრალურიც კი იყოს, ან თუნდაც ოდნავ მტრული სახელმწიფოც. თუ იქ ამერიკული ბაზები არ იქნება, ჩათვალეთ, რომ ჩვენი ამოცანა იქ შესრულებულია. არავინ არის ვალდებული, ვუყვარდეთ და არც ჩვენ ვართ ვალდებული, ვინმე გვიყვარდეს — ამის აუცილებლობა არ დგას. და არც იმის, რომ მაინცდამაინც ერთად ვიყოთ, თუმცა მე ვისურვებდი, მართლმადიდებელი ხალხები ერთად ვყოფილიყავით. მაგრამ მთავარი მიზანია — ამერიკული ბაზების არდაშვება და მისი მიღწევის გზები მიზანს უნდა შეესაბამებოდეს, თუნდაც ყველაზე არაჰუმანური. ასე იქცევიან ნამდვილი მამაკაცები ყველგან და ყოველთვის: ისინი მიზანს ისახავენ და პოულობენ რესურსებსა და გზებს მის მისაღწევად!

სხვათა შორის, ქართველებიც, რომლებიც ნამდვილი მამაკაცები არიან, ძალზე მტკივნეულად აღიქვამენ მომხდარს: მათთვის რუსეთი მტერია, ხომ? და გვეუნებიან: „ჩემზე ძლიერი ხარ? ჰოდა, იყავი მამაკაცი, აიღე ჩემი დედაქალაქი, თქვი, რომ შენ ხარ აქ ბატონი“ ჩვენ შეიძლება, არ შეგიყვაროთ, მაგრამ დაგემორჩილებით, რადგან შენ ნამდვილი მამაკაცი იქნები, როცა დაგვიპყრობო...“. დამერწმუნეთ, საქართველო შეძლებს ამ პირობებში ადაპტირებას, ის ხომ ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვა იმპერიების ქვეშ იყო. და რა, ვერ ცხოვრობს?! საერთოდ, კავკასიელებში გამოხატულად ბევრია მამაკაცური, პატრიარქალური და ამას პატივი უნდა ვცეთ. და თუ გვსურს, ისინი ვმართოთ, ჩვენც მამაკაცები უნდა ვიყოთ, ძლიერები და მათ მათზე მეტი სიძლიერე ვუჩვენოთ. მაშინ მათთვის გასაგები იქნება, რატომ ვმართავთ მათ ჩვენ. და ზოგი მათგანი — მეტი სიხარულით, ზოგი — ნაკლებით, მაგრამ მიიღებს ამ რეალობას ისე, რომ ეს მათ არ გატეხს, არ წააქცევს.

**ასე რომ, თუ დაიწყე ომი — მიიყვანე ბოლომდე, გაიხსენე, რისთვის დაიწყე, გაიხსენე, რაში მდგომარეობდა მთავარი მიზანი! ეს სანახევრო მდგომარეობა კი, რომელიც ახლა გვაქვს, მორალურად მძიმე ტვირთად აწევს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში არსებულ ყველაზე ჯანსაღ ძალას“**

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“**

**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“**

# თანამედროვე „სიბრძნე სიცრუისა"



**ჩვენი გაზეთის მკითხველი უთუოდ უნდა იცნობდეს პროფესიით ჟურნალისტს, მაგრამ ამჟამად ბიზნესმენს ჯუმბერ სარდლიშვილს, რომელმაც ბოლო ხანს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რამდენიმე ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ხასიათის წერილი გამოაქვეყნა და ფართო მკითხველის ყურადღება მიიქცია.**

**მან კარგა ხანს იმუშავა ქართულ ტელევიზიაში, ჯ. სარდლიშვილის სცენარებით გადაღებულია რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ფილმი. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული.**

**ამჟამად ჯ. სარდლიშვილი შპს „სამშენებლო კერამიკის" დირექტორია. ეს საწარმო, რომელიც აღდგომლიაანთკარში მდებარეობს, მალე დაიწყებს ქართული კრამიტისა და აგურის გამოშვებას.**

**მაგრამ, როგორც ჩანს, ბიზნესმენობა სულაც არ უშლის ხელს ჯუმბერ სარდლიშვილს ლიტერატურულ მუშაობაში, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ის თავისებური „სიბრძნე სიცრუისა", რომლის ერთ ნაწილსაც ვთავაზობთ „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს.**

## უპირობო მელა

მელას ფეხი დაუცდა და კლდეზე გადავარდა. მიხვდა, მისი გადარჩენა მხოლოდ ღმერთს შეეძლო, ცას ახედა, პირჯვარი გადაიწერა და შესძახა, უფალო, ოღონდ გადამარჩინე და პირობას ვდებ, ცოცხალ არსებას კბილს არასოდეს დავაკარებო. სიტყვა დამთავრებული არა ჰქონდა, არწივი გამოჩნდა, მელას კლანჭები ჩაავლო, აიტაცა და მდელოზე დააწვინა.

მამლის ყივილმა მელა ფეხზე წამოახტუნა. თვალს არ უჯერებდა, კარგად ჩასუქებული მამალი კლდის პირას დასეირნობდა. ნერწყვი მოადგა. ეცა და... ისევ კლდეზე გადავარდა. ისევ შეევედრა ღმერთს, ოღონდ გადამარჩინე და პირობას ვდებ, ცოცხალ არსებას კბილს არ დავაკარებო. გამოჩნდა ისევ არწივი, აიტაცა მელა და მდელოზე დააწვინა.

როცა ისევ შემოესმა მამლის ყივილი, როცა შეჭმა დაუპირა და როცა მესამედ დაუცურდა ფეხი, იღრიალა, არწივო, სადა ხარ, გადამარჩინეო, მაგრამ მიწაზე ისე დაენარცხა, არწივი არ გამოჩენილა. იქვე, ჯიხვი ნეკერს მიირთმევდა. ტკივილისგან შეღონებულ მელას გადახედა და უთხრა:



– გავიგონე, ღმერთს ორჯერ შეევედრე და ორჯერ გადაგარჩინა, შენ კი პირობა დაარღვიე...

ღმერთს შევევედრე, მაგრამ ორჯერვე არწივმა გადამარჩინა.

შე მამაცხონებულო, არწივმა რომ მიწაზე არ დაგანარცხა და სული არ გაგაფრთხობინა, ვერ უნდა მიმხვდარიყავი, ვინ გეხმარებოდა? ან ამ შუაგულ ტყეში, სოფელი რომ არსად არის, მამალი საიდან გაჩნდა?

მე ხომ არწივს ვხედავდი და არა – ღმერთს.

ღმერთი რომ დაგენახა, ახლა ცოცხალი იქნებოდი. – ჩაილაპარაკა ჯიხვმა და გაქრა.

## შვილების დამარცხებული

გონიერმა და გამრჯე კაცმა ისეთ წარმატებებს მიაღწია, შურიანი ადამიანები მტრებად ექცნენ; ზოგი მის ბიზნესს ებრძოდა, ზოგი მისი ქონების ხელში ჩაგდებას ცდილობდა, ზოგი სახელმწიფო კანონების შეუსრულებლობაში სდებდა ბრალს, ზოგი – გადასახადების დამალვაში, ზოგი კონტრაბანდისტობას აბრალებდა, ზოგი მის შეხედულებებს აკრიტიკებდა და საზოგადოებისთვის საშიშ ადამიანად თვლიდა. მშიშარა და უნებისყოფო რომ ყოფილიყო, ხელს ჩაიქნევდა და სადმე გადაიკარგებოდა, მაგრამ მტრებს ყოველთვის შემართებით ებრძოდა და ყოველთვის ამარცხებდა.

ორი შვილი ჰყავდა. ვაჟებმა უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს თუ არა, გვერდში დაიყენა. უხაროდა მამას, ჩემს მორევას ვერავინ შეძლებსო. ერთი შვილი ერთ წარმოებას ჩაუყენა სათავეში და მეორე – მეორე წარმოებას, თავად სამოგზაუროდ წავიდა; არსად ვყოფილვარ, არაფერი მინახავს, რამდენიმე თვე წავალ, დედამიწას შემოვივლიო.

როცა მოგზაურობიდან დაბრუნდა, საწარმოები გაკოტრებული და ბანკებში გასაყიდად გამზადებული დახვდა. ნარკოტიკებში და სამორინეში გაფლანგული თავისი ქონება ცრემლებად ექცა. ამაყი კაცი უცებ მოტყდა, წელში მოიღუნა, დაჩაჩანაკდა, თვალს ვერავის უსწორებდა, ეგონა, ყველა მას დასცინოდა. ასეთი უსუსურობა არასოდეს განუცდია. ბრძოლისა და რაიმეს შეცვლის სურვილი დაეკარგა, მორბოდა და ყვიროდა, ჩემი მორევა მხოლოდ ჩემმა შვილებმა შეძლეს, ჩემი მორევა მხოლოდ ჩემმა შვილებმა შეძლესო.

## პანტიანელი მგელი

პანტიანში ერთი მგელი ცხოვრობდა. ცუდი დრო იყო, ქვეყანა დაცემისა და განადგურების პირას მივიდა. შიმშილმა ყველა დააბეჩავა. ცხოვრებამ მოიტანა და კურდღელი აყეფდა, დედალი აყივლდა, ცხვარმა ღრენა დაიწყო... არწივი რომ არწივია, ბეღურის ფრთის გაქნევაზე კანკალებდა. პანტიანელმა მგელმა იფიქრა, სიკვდილი არ ამცდება, რამე თუ არ მოვიფიქრეო, ერთ მეცხვარეს კარზე მიადგა და უთხრა, ძმაო, შენი ფარა ბევრჯერ ამიწიოკებია, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო... ახლა სხვა დროა, თუ არ ვიშრომე, შიმშილით ამომხდება სული, ფარაში დარაჯად მამუშავე, ერთი ცხვარი მაინც თუ დავკარგე, აქა ვარ და მომკალიო. მეცხვარემ იფიქრა, ამ დროში ქურდსა და ყაჩაღს რა გამოლევს, მგელმა ყველა ხრიკი იცის და დარაჯად, ეგებ მართლაც ივარგოსო. ფარეხის სამი მხარე ძაღლებს ჩააბარა და ერთი მხარე – პანტიანელ მგელს.

დრო გადიოდა. ერთი ბრუციანი ცხვარიც არ დაკარგულა. მგელი თავის ყოველდღიურ ულუფას იღებდა და მომავლის გეგმებს აწყობდა. ერთ დღესაც მივიდა მეცხვარესთან და სთხოვა, ძმაო, ვიცი, ჩემით კმაყოფილი ხარ, არც მე ვარ თქვენით უკმაყოფილო, ორი დღით სახლში გამიშვი, ცოცხალი არავინ გამაჩნია, პაპაჩემის საფლავთან ვილოცებ, წესს დავაყენებ, ერთ ჭიქა ღვინოს წავუქცევ და დავბრუნდებიო. მეცხვარე უარს როგორ ეტყოდა, წადიო, უთხრა, თან ერთი დოქი ღვინო და სანთლები გაატანა.

საგვარეულო აკლდამაში შესულ მგელს ცრემლები წამოუვიდა. ტახტრევანზე მისვენებულ პაპას სანთლები აუნთო, სათითაოდ, ყველა გარდაცვლილი მოიგონა, ბოლოს მუხლებზე დაეცა და აქვითინდა, საკუთარ ჯიშს ვუღალატე, დღეს იმას ვიცავ, რასაც უნდა ვიტაცებდეო. თუმცა გულში ფიქრობდა, ჩემს მოდგმაში ჩემზე ჭკვიანი არც ადრე ყოფილა და არც დღეს არისო. მცენარეული წამლებით დამუშავებული პაპის გაუხრწნელი გვამი ზურგზე მოიგდო და ფარეხში დაბრუნდა.

საღამო იყო. პაპის გვამი ფარეხიდან მოშორებით, ბუჩქებში დამალა, მეცხვარეს გამოეცხადა და უთხრა, აქა ვარ, სამსახურს შევუდექიო.

ღამე მეცხვარე ფარეხის დასათვალიერებლად ბინიდან რამდენჯერმე გამოვიდა, მშვიდად გაწოლილი მგელი შეათვალიერა და გულდამშვიდებული საწოლს დაუბრუნდა.

გვიანი იყო. ბოლო შემოწმებამ ჩაიარა თუ არა, მგელმა პაპის ცხედარი ბუჩქიდან გამოათრია, ფარაში შევარდა, ცხვრებს მუსრი გაავლო, ცხედარი ყელგამოღადრულ, დასისხლიანებულ ცხვრებში ჩააგდო და გათენებამდე დახოცილი ცხვარი უსაფრთხო ადგილზე გაზიდა.

მეცხვარე ძაღლების ყეფამ გამოაღვიძა. ელდა ეცა. ფარას გახედა, მუხლები აუკანკალდა. დახოცილ ცხვრებს



შორის სისხლში გასვრილი მგელი ეგდო. ეს საცოდავი მთელი ხროვის წინააღმდეგ ვერაფერს გამხდარა, ჩემს ქონებას თავი შესწირაო, იძახდა.

გვამი, ფარეხის შესასვლელთან, დიდი პატივით დაკრძალა. ქვის ოსტატები მოიწვია და პატივსაცემად ძეგლი დაადგმევინა. როდესაც მეცხვარემ სანთლები აანთო და მუხლებზე დაცემულმა შესანდობარი შესვა, მთაზე გადმომდგარმა პანტიანელმა მგელმა დაიძახა, აი, როგორია თანამედროვე მგელიო და ახარხარდა.

## სახელოვანი მელა და სასაცილო მგელი

მელამ ტყეში ყველაზე მარიფათიანის, ყველაზე ეშმაკის, ყველაზე ჭკვიანის, ყველაზე მამაცისა და ღონიერის სახელი დაიმკვიდრა. მის გმირობებზე ლაპარაკობდნენ.... ყველას ოჯახში მიღებული და სასურველი სტუმარი გახდა.

ქათმის ქურდობა აღარ შემეფერებაო, გაიფიქრა მე-



ლამ, ცნობილ თერძს მგლის ბეწვისგან ქურქი შეაკერინა და ტანზე ისე მოირგო, ზედ შეზრდილი გეგონებოდათ.

მელა მეგობარ მგელს სახლში ეწვია და უთხრა: მეგობარო, საქათმეში ძრომიალი აღარ შემეფერება, მინდა მგლებშიც სახელოვანი ვიყო. მგელს ჯერ გაუკვირდა, მერე თქვა, თვითონ მგლობა ურჩევნია და მე ხელი რატომ შევუშალოვო. გააცნო მეგობრები და იმავე დღეს ფარეხიდან ცხოვრების გატაცება გადაწყვიტეს. ფარას თავს დაესხნენ, ცხვრებს ყელი გამოღადრეს, სათითაოდ ზურგზე მოიგდეს და ვიდრე მეცხვარე ძაღლებს დაადევნებდა, გაიქცნენ.

მელა ცხვრის სიმძიმისგან ფეხებს ძლივს მიათრევდა. დაატყო ძაღლებს ვერ დაუსხლტებოდა, ცხვარი მიატოვა და გაიქცა.

სამშვიდობოს გასული მგლები მელას ელოდებოდნენ. ხელცარიელი რომ დაინახეს, სიცილი აუტყდათ. მეგობარს გული ეტკინა, მიუახლოვდა მელას, დაამშვიდა და უთხრა, მეგობარო, სჯობია სახელოვანი მელა იყო, ვიდრე სასაცილო მგელიო და ქურქი გახადა.

## ლანძღვაში გადახდილი ფული

ერთი კაცი სოფელში დადიოდა და მთავრობას ლანძღავდა. ოპერატორი უკან დაჰყვებოდა და კამერით იღებდა. გლეხი, რომელიც იმავე სოფელში დილიდან საღამომდე შრომობდა, მივიდა ოპერატორთან და ჰკითხა, რატომ არის, რომ ქვეყანაში ის ადამიანი უფრო ცნობილია, ვინც ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს და მე, რომელმაც ცხვარ-ძროხა მოვამრავლე, ბაღ-ვენახი გავაშენე, ბოსტნეული მომყავს და დასასვენებლად დრო არა მაქვს, არავინ მიცნობსო.

ძმაო, მე ფულს ლანძღვ-გინებაში მიხდიან, შენ რომ გადაგიღო, ცოლ–შვილი მშიერი დამეხოცება. – მიუგო ოპერატორმა.

## მელა და ნათლიმამა

მელა ქურდობაზე დაიჭირეს და კუდი მოაჭრეს, რათა სხვა დროს კუდით კვალი არ წაეშალა. როგორც კი ჭრილობა მოიშუშა, ნათლიმამას მიადგა და უთხრა, მირონი გვაახლოვებს, ერთმანეთს მხარში თუ არ ამოვუდექით, შიმშილით დავიხოცებით. მე ვიქურდებ, შენ ჩემი კუდის როლი ითამაშე და ნაქურდალი შუაზე გავიყოთო.

– კუდის როლი როგორ ვითამაშო?!. – გაუკვირდა ნათლიმამას.

– მე მოვიპარავ, შენ კვალი წაშალე.

– შე მამაცხონებულო, შენ ცოცხალი ხარ და კუდი აღარა გაქვს... მე ნახევარზე რატომ დაგთანხმდე, როცა კუდს მეტი სასჯელი ელოდება. – მიუგო ნათლიმამამ.



## ღმერთის ნაჩუქარი

სოფელში ერთი ღარიბი კაცი ცხოვრობდა. მთელი დღე დაეხეტებოდა, ხან რომელი ხის ჩრდილში ეგდო და ხან – რომელი. გამხდარს ღიპი ტომარასავით ჰქონდა ჩამოკიდებული და მთელი სოფელი ღიპას ეძახდა.

ერთ დღეს ჩრდილში მიძინებულ ღიპას თანასოფლელები მიუახლოვდნენ. მიხას სიცილი აუტყდა. შორიახლოს მდგარ თავის ვირს გახედა და დანარჩენებს ღიმილით უთხრა, გინდათ ღიპა გავამასხარაოთო. როგორაო, ჰკითხეს დანარჩენებმა.

- ჩემს ვირს ხედავთ? დავიჭიროთ და ღიპას ფეხზე გამოვაბათ. წერილს დავუწერ, ვითომ ღმერთმა აჩუქა. გაუხარდება, სახლში წაიყვანს, ჩვენ კი კარგად გავმხიარულდებითო. ასეც მოიქცნენ; ვირს ზოგი თოკით მოათრევდა და ზოგი უკნიდან აწვებოდა. მიხამ წერილი თავისი ხელით დაუწერა, მიძინებულ ღიპას გულზე დაადო და ბუჩქებში მიიმალნენ.

ღიპა სიზმარს ხედავდა: ციდან ღმერთი ჩამოვიდა და ვირი აჩუქა. სიხარულისგან გამოეღვიძა, ფეხზე გამობმული ვირი რომ დაინახა, თვალებს არ უჯერებდა. ღმერთს ვირი მართლა უჩუქებიაო, ბუტბუტებდა.

ძირს დაგდებული წერილი დაინახა, წაიკითხა და სიხარულისგან ცრემლები წამოსცვივდა, ვირს ხელები შემოხვია, გულში ჩაიხუტა, თოკი მხარზე შემოიდო და სახლისკენ წავიდა.

საღამო იყო. მხიარულებით დამტკბარი მიხა, თავისი ვირის წამოსაყვანად ღიპას ქოხს მიადგა. ღიპამ შეიცხადა, ღმერთმა მაჩუქა და შენ ვინა ხარ, რომ მართმევო. იჩხუბეს, იდავეს, ბოლოს მოსამართლეს ეახლნენ და საქმის გარჩევა სთხოვეს. მოსამართლემ ჯერ მომჩივანს მოუსმინა, მერე – ბრალდებულს, ბოლოს მოწმეები გამოიძახა და დაკითხა.

კეთილი, – ჩაილაპარაკა მოსამართლემ და ფეხზე წამოდგა.

მოისმინეთ განაჩენი: მოწმეების ჩვენებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა ღმერთი სიზმარში ნახა, რომელმაც ბრალდებულს ვირი აჩუქა. ჩვენ არანაირი მტკიცებულება არ გაგვაჩნია იმისა, ნათქვამში ეჭვი შევიტანოთ. საქმეში დევს წერილი, რომელიც მოსარჩელის მიერ არის დაწერილი და რასაც მოწმეებიც ადასტურებენ. წერილში ვკითხულობთ, ვირი ღიპას ღმერთმა აჩუქა. სასამართლომ გადაწყვიტა: უარი ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნაზე და ვირი ბრალდებულის საკუთრებაში დარჩეს!

მიხას თავზარი დაეცა. სიცილისგან გადაბჟირებულ მეზობლებს გაოგნებული შესცქეროდა.

მიხა, დაუძახა მოსამართლემ, დაცინვით გამოწვეული ტკივილი უფრო მწარეა, ვიდრე ქონების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და დარბაზიდან გავიდა.

## შეწუხებული ღმერთი

ერთი ღრმად მოხუცებული კაცი ლოგინად ჩავარდა. გადახედა თავის ცხოვრებას და ერთი ბედნიერი დღეც ვერ გაიხსენა. თავი შეებრალა, ცრემლი მოადგა და ღმერთს შეევედრა, ისე ნუ მომკლავ, ბედნიერება არ მანახოვო.

შეწუხდა ღმერთი, ამ კაცს ცხოვრებაში არაფერი უთხოვია



და უარი როგორ ვუთხრაო. დაიბარა მიქელ-გაბრიელი და ჰკითხა, ასეთი მიხრწნილი მოხუცისთვის ბედნიერება რა არისო. სიკვდილიო, მიუგო მიქელ-გაბრიელმა.

ჰოდა, სიკვდილი ისე ანახე, არ მოკლაო, – უთხრა ღმერთმა.

## პასუხს შენ თავად იპოვი

ერთი კაცი დღეში რამდენჯერმე ბანაობდა. ძმამ ჰკითხა, – რა არის, დღეში ამდენჯერ რატომ ბანაობო.

– ვინც შემხვდება, თავი ნაგვითა გაქვს სავსეო, მეუბნება და მაშ რა ვქნა?

ძმამ გულისტკივილით უთხრა, – წყალი მხოლოდ იმ ნაგავს გაშორებს, რომელიც შენ გაყროლებს, ისინი იმ ნაგავზე მიგითითებენ, რომელიც მათ აყროლებსო.

– კი მაგრამ... ის ნაგავი როგორ მოვიცილო?

– ეგ კითხვა დღეში იმდენჯერ დაუსვა შენს თავს, რამდენჯერაც ბანაობ და პასუხს შენ თავად იპოვი. – მიუგო ძმამ.

## მორევში ცურვა

ახალგაზრდა კაცი ნიაღვრის ჩამოტანილ ქვებითა და ხეებით სავსე მორევში ცურავდა, ცოცხალ-მკვდარი ამოდიოდა, ჩალურჯებულ იარებს იშუშებდა და ისევ მორევში ვარდებოდა. ცხოვრებისგან წელში მოხრილი, გატეხილი და დაბეჩავებული კაცი თვალს ადევნებდა. ერთ დღეს მივიდა და გაკვირვებულმა ჰკითხა, შვილო, შენს თავს ამდენ ტკივილს რატომ აყენებო.

– გამიგია, ცხოვრება მორევია. წყლის მორევში ცურვას ვსწავლობ, რათა ცხოვრების მორევში ცურვა გამიადვილდეს და შენსავით არ დამაბეჩავოს. – მიუგო ახალგაზრდამ.

## რა გიკვირთ

ვირი მთელი დღე ტლინკებს ისროდა და ყროყინებდა. ცხოველები გაკვირვებულები შესცქეროდნენ. ცხვარმა



უთხრა, რა გიკვირთ, ვირი ისეთს რას აკეთებს, რაც მის ბუნებაში არა დევსო.

თხამ უპასუხა, – ის ისეთ რამეს აკეთებს, რაც ჩვენ არ შეგვიძლიაო.

განა ის უფრო საკვირველი არ იქნებოდა, ვირსაც ის გაეკეთებინა, რასაც თხა აკეთებსო, მიუგო ცხვარმა.

## ძმობის ფასი

ვაცმა კაცი გაიცნო და ძმობას ეფიცებოდა; ყოველ სიტყვაზე „ძმაოს" ისე თბილად იძახდა, ახლად გაცნობილს მოსმენა სიამოვნებდა. დიდი ხანი ეძებდა კაცს, რომელიც ძმასავით გვერდში დაუდგებოდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ იპოვა.

ერთხელ შეხვდნენ, ორჯერ და მესამედ, ძმაოს მოსმენით დამტკბარმა ძმურად ოჯახში დაპატიჟა, ცოლ-შვილს წარუდგინა და უთხრა, ნახეთ, როგორი კაცი გავიცანი, პირზე სულ „ძმა" აკერია, „ძმაოს" გარეშე სიტყვას არ იძახისო და კარგი დრო გაატარებინეს.

ერთ დღეს ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა ახლად გაცნობილს თავად სწვეოდნენ სახლში და მისი ოჯახიც გაეცნოთ. ასეც მოიქცნენ. როდესაც ეზოსთან მანქანა გააჩერეს და გადმოვიდნენ, გინებისა და ლანძღვის ხმა შემოესმათ. მიახლოვებულებმა დაინახეს, მასპინძელს ვიღაც კაცი მიწაზე დაეგდო და ახრჩობდა. მეზობელი ეხვეწებოდა, გაუშვი, ძმა არის, უბრალო რამისთვის სასიკვდილოდ ნუ გაიმეტებო, მაგრამ ყურს არ უგდებდა, ძმა ფეხებზე მკიდიაო, ყვიროდა და ყელში უჭერდა.

ქმარმა ცოლს გადაულაპარაკა, კაცმა ძმის ფასი თუ არ იცის, ძმობის ფასი როგორ ეცოდინებაო, და იქაურობას გაეცალნენ.

## შეღონებული ქალი

ერთი ქალი ისეთი მახინჯი იყო, დღე სახლიდან აღარ გამოდიოდა, ღამე სიარულს მიეჩვია და სიმახინჯეს სიბნელეში მალავდა, მაგრამ ხალხი ბევრ ისეთ სიმახინჯეზეც ალაპარაკდა, რომელსაც დღე ვერ ამჩნევდნენ.

შეღონებული ქალი მეზობელთან მივიდა და შესჩივლა, ჩემს სიმახინჯეს გულმოდგინებით ვმალავ, მაგრამ ჩემს შესახებ ყველამ ყველაფერი იცისო.

რასაც მალავ, ის უკეთესად ჩანსო, მიუგო მეზობელმა.

## კარგი ვსვი და კარგი ვჭამე

ქორწილში მიმავალი ხალხი მდინარეს მიადგა. ხიდი წაღებული დახვდათ და ბჭობა გამართეს; ერთმა თქვა მდინარის წყლის სიჩქარე თუ არ გავიგეთ, წყალში ვერ შევალთო, მეორემ თქვა, ფსკერი შევისწავლოთ, შეიძლება ღრმა ორმოებიაო, მესამემ თქვა, სიღრმე თუ არ გავიგეთ, მდინარეში შესვლა სახიფათოაო.

ერთმა კაცმა საათს დახედა. ქორწილში აგვიანდებოდა. მდინარეს ჩაუყვა, გაშლილი ადგილი მოძებნა, ტანსაცმელი გაიხადა, ცალი ხელით მაღლა დაიჭირა და მდინარეში გაიარა. მეორე ნაპირზე გასულმა ჩაიცვა, ქორწილში მივიდა, იქეიფა, მოილხინა და უკან დაბრუნდა.

მდინარესთან მოთათბირე თანასოფლელებმა დაუძახეს, საიდან მოდიხარო. ქორწილიდანო, უპასუხა ნაქეიფარმა. ვიდრე თქვენ თათბირობდით, კარგი ვსვი, კარგი ვჭამე და სახლში ღიღინით მივდივარო.

## პაპის რჩევები

შვილიშვილი პაპის რჩევებს ისმენდა. გაბეზრებულმა გააჩუმა და ჰკითხა, ეგრე რომ მოვიქცე, ვინ გამოვალო.

– კაცი გამოხვალ, შვილო, კაცი. – მიუგო პაპამ.

– მე მინდა, პრეზიდენტი გამოვიდე. – წამოიძახა შვილიშვილმა და გაიქცა.

## სხვისი ჭკუა

ვაცმა ისე ვერაფერი დაგეგმა, რომ ხეირი ენახა. სოფელში სიბრძნით განთქმულ კაცს მიადგა, თავისი გაჭირვების შესახებ უამბო და სთხოვა, რამე მირჩიე, თორემ ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცებაო. მანაც რჩევა-დარიგება არ დაიშურა და სტუმარი გამოაცილა.

კაცს საქმე კარგად წაუვიდა, კარგი მოგება ნახა და ოჯახიც დააპურა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორც კი გაუჭირდებოდა, ისევ იმ ბრძენს მიადგებოდა და რჩევას სთხოვდა.

ერთი შურიანი მეზობელი ჰყავდა, იფიქრა, საქმე კარგად მისდის, ნამდვილად მიწაში ჩაფლულ ოქროს მიაგნო და ცოტ-ცოტას სახლში ზიდავსო. უკან აედევნა. კაცი სიბრძნით განთქმულ კაცის სახლში შევიდა და მალე გახარებული გამოვიდა. მეზობელმა ჰკითხა, ამ სახლში ისეთს რას იძლევიან, რომ ოჯახი ფეხზე დააყენეო.

– კაცს იმდენი ჭკუა მაინც უნდა გქონდეს, შენი თუ არა გაქვს, სხვისი ჭკუა მოიხმარო. – მიუგო მეზობელს და წავიდა.

## რაღაცას ხომ უნდა დავეპატრონო

უკვდავების წყალს დევი დაეპატრონა. ვინც წყლისთვის მივიდოდა სადილად ქალიშვილი უნდა მიერთმია და ვახშმად – ვაჟიშვილი. დაავადებული მოსახლეობა შეწუხდა, მაინც ვიხოცებით და დევმა ამაზე მეტი რა უნდა გვიყოსო, მიუვარდნენ და უკვდავების წყალი მოსთხოვეს. დევს მრჩევლად ერთი ბრძენი კაცი ჰყავდა. ბრძენმა იფიქრა, იფიქრა და დევს ურჩია წყლისთვის თავი დაენებებინა. მანაც უკვდავების წყალს თავი დაანება და ტყეს დაეპატრონა.



მოვიდა ზამთარი. სიცივისგან იყინებოდა მოსახლეობა. ვინც შეშას მოითხოვდა, სადილად ქალიშვილი და ვახშმად ვაჟიშვილი უნდა მიერთმია. შეწუხებულები მიუვარდნენ დევს და შეშა მოსთხოვეს. მრჩეველმა დევს ურჩია, ტყისთვის თავი დაენებებინა. მანაც ტყეს თავი დაანება და წყაროს წყალს დაეპატრონა.

მოვიდა ზაფხული. ხალხს წყურვილი ჰკლავდა. ისევ შეწუხდა მოსახლეობა, უწყლოდ ვიხოცებით და დევმა ამაზე მეტი რა უნდა გვიყოსო, მიუვარდნენ და წყალი მოსთხოვეს. მრჩეველი საგონებელში ჩავარდა. იფიქრა, იფიქრა და დევს მაინც ურჩია, წყლისთვის თავი დაენებებინა. დევი გაბრაზდა, დევი ვარ, რაღაცას ხომ უნდა დავეპატრონოვო.

სადილისა და ვახშმის მომრთმევი თუ არ გეყოლება, გინდა მთელ დედამიწას დაეპატრონე... ჩაილაპარაკა მრჩეველმა.

**ჟუმბერ სარდლიშვილი**

# თანამედროვე „სიბრძნე სიცრუისა"




**„ხრუშჩოვმა გადაკვრით თქვა, რომ კიროვი სტალინმა მოკლაო. ზოგიერთებს ეს დღემდე სჯერათ. რეპლიკა იყო. 1956 წელს შეიქმნა კომისია. 12 სხვადასხვა ადამიანი მრავალჯერ ათვალიერებდა დოკუმენტებს, ვერაფერი სტალინის წინააღმდეგ ვერ აღმოაჩინეს. შედეგებიც არ გამოუქვეყნებიათ... მოხსენებას აკეთებდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი. რუდენკოს ჯგუფი ათვალიერებდა, ამოწმებდა მასალებს. მასალები საკმაოდ ბევრი იყო. ყველაფერს რა მასალებმაც ჩვენ გვაძლევდნენ და რასაც ჩვენ თვითონ ვნახულობდით, ვკითხულობდით, ვიყენებდით. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ სტალინს კიროვის მოკვლაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის. ხრუშჩოვმა უარი თქვა ამ მასალების გამოქვეყნებაზე — არ იყო მის სასარგებლოდ“.**

მოვიყვან მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც მთლიანად მიწასთან ასწორებს ფალსიფიკატორების მცდელობას, როდესაც კიროვის სიკვდილის შესახებ გაიგო, სტალინი დაუყოვნებლივ ჩავიდა ლენინგრადში და უმალვე მოითხოვა, მიეყვანათ მასთან სერგეი მირონის ძის მცველი გვარად ბორისოვი, რომელიც უცნაურად არ იყო მკვლელობის მომენტში და ახლა დაპატიმრებული იყო. ის წაიყვანეს სტალინთან, მაგრამ... ვერ მიიყვანეს. გზაში ღია სატვირთო მანქანა, რომელში მცველი იმყოფებოდა, მოყვა ავარიაში, მიასკდა სახლის კედელს. ამ დროს ყველა გადარჩა. ყველა, ეჭვმიტანილის გარდა — ის ამ ავარიაში დაიღუპა, ვითომ, კისერი მოტყდა. თეთრი ძაფით შეკერილი „ავარია“ ეჭვმიტანილის სიკვდილით, სჭირდებოდათ მხოლოდ იმ ძალებს, ვინაც რეალურად მოაწყო კიროვის მკვლელობა და „სთხოვა“ მის მცველს, გამდგარიყო განზე ცოტა ხნით. ცოტა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ კიროვის მკვლელი ნიკოლაევი საერთოდ არ მუშაობდა 1934 წლის აპრილიდან მკვლელობამდე. რითი ცხოვრობდა? ვინ უჭერდა მხარს? 1934 წლის შემოდგომაზე ის დაიჭირეს სმოლნის მახლობლად, მაგრამ მერე გაუშვეს ზაპოროჟეცის (გვარია — მთ.) — ლენინგრადის ოლქის შინსახკომის თავმჯდომარის მოადგილის — პირადი განკარგულებით. არის გასაოცარი, რომ ლენინგრადის ორგანოების მთელი ხელმძღვანელობა შემდეგ დააპატიმრეს და გაასამართლეს? კიროვის მკვლელობაში კი ბრალი დასდეს შეთ-


ს. კიროვის დაკრძალვა

ქმულებს, მათ შორის შინსახკომის ხელმძღვანელს ჰენრიხ იაგოდას, რომელიც მემარჯვენე-ტროცკისტების საქმესთან დაკავშირებით დახვრიტეს 1938 წელს.

ჩვენი წიგნი სტალინს ეძღვნება. როდესაც მასზე ლაპარაკობ, შეუძლებელია, არ შეეხო რეპრესიების პრობლემებს. ის, რასაც დღეს სტალინურ რეპრესიებს უწოდებენ, სინამდვილეში არის სხვადასხვა პირთა და დაჯგუფებათა მეტად წინააღმდეგობრივი მოქმედებების მთელი ხლართი, პრინციპი, რომელსაც დღეს ლიბერალური ისტორიკოსები გვთავაზობენ, შევაფასოთ ის დრო, მეტად პრიმიტიულია: ყველა, ვინც დააპატიმრა და დასაჯა სტალინმა — უდანაშაულო მსხვერპლები არიან. მსხვერპლები და დამნაშავეები — ყველა ერთ ჯგუფშია მოქცეული, ყველა უდანაშაულოა. ყველაფერში და ყოველთვის მხოლოდ სტალინია დამნაშავე.

აი, რას უპასუხებდა შეკითხვას სტალინური „სისასტიკის“ შესახებ ვიაჩესლავ მოლოტოვი:

**„ვინ იყო უფრო მკაცრი, ლენინი თუ სტალინი?**

**— რა თქმა უნდა, ლენინი. იყო მკაცრი. ზოგიერთ რამეში სტალინზე მკაცრი. წაიკითხეთ მისი წერილები ძერჟინსკისადმი. ის ხშირად ყველაზე უკიდურეს ზომებს მიმართავდა, როდესაც ეს აუცილებელი იყო. ბრძანა, ჩაეხშოთ ტამბოვის აჯანყება, ყველაფერი გადაეწვათ. მე სწორედ განხილვაზე ვიყავი. ის ვერანაირ ოპოზიციას ვერ მოითმენდა, თუ ასეთი შესაძლებლობა იქნებოდა. მახსოვს, როგორ საყვედურობდა სტალინს უნიათობისა და ლიბერალიზმის გამო. „რა დიქტატურა გვაქვს ჩვენ? ჩვენ დონდლო ხელისუფლება გვყავს და არა დიქტატურა!“**

**— სად წერია, რომ ის საყვედურობდა სტალინს?**

**— ეს ვიწრო წრეში იყო, ჩვენს გარემოში“.**

მაშ, როგორია დაგმობილთა ნამდვილი ციფრი სტალინის მართვის წლებში? არანაირი „ათობით მილიონი“ რასაც ლიბერალი ისტორიკოსები ამტკიცებენ, ხსენებაც არაა. იმ ცნობის თანახმად, რომელიც 1954 წლის თებერვალში ხრუშჩოვისათვის მოამზადეს გენერალურმა პროკურორმა რ. გრუდენკომ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ს.კრუგლოვმა და იუსტიციის მინისტრმა კ.გორშენინმა, 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე კონტრრევოლუციური დანაშაულობებისთვის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის, შინსახკომის „სამეულების“, განსაკუთრებული თათბირის, სამხედრო კოლეგიის, სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალების მიერ მსჯავრდადებული იყო 3 777 380 კაცი, მათ შორის სიკვდილი მიესაჯა 642 980 კაცს.

ეს ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში. ესაა სამოქალაქო ომის დასასრული, ესაა ეპოქა მის შემდეგ. ესაა ჰიტლერთან საშინელი ომის ოთხი წელი. ესაა პერიოდი დიდი სამამულო ომის შემდეგ. ესაა ბრძოლა ბენდეროველთა და ტყის ძმების ბანდებთან. მათ შორის იაგოდასთან, ეჟოვთან, და სისხლიან ჯალათებთან. აქვე არიან გამყიდველი ვლასოველები. აქ არიან დეზერტირები და მაროდიორები. პანიკიორები, ბანდიტური იატაკქვეშეთის მონაწილეები, ნაცისტების ხელშემწყობები, სისხლს რომ ღვრიდნენ. ესაა „ლენინური გვარდია“, რომელმაც დაანგრია დიდი ქვეყანა რუსეთის მტრების გასახარად. აქაა ზინოვიევი და კამენევი. ტროცკიც მათ რიცხვში. კომინტერნის მოღვაწეები. გამყიდველი და მოღალატე ტუხაჩევსკი, რომელიც სამხედრო გადატრიალებას ამზადებდა. ჯალათი ბელა კუნი, ვინაც ათასობით ოფიცრებს ახრჩობდა ყირიმში კისერზე ქვების შებმით. მრავალგეგმიანი ციფრია, მეტად რთული. თუ დახვრეტილთა საერთო რიცხვს გავყოფთ წლების რაოდენობაზე, გამოდის 22 000-ზე ნაკლები კაცი წელიწადში. ბევრია? რასაკვირველია. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, თუ როგორი წლები იყო ისინი და არ არის არანაირი ათობით მილიონი დახვრეტილი. აი, ეს არის შეგნებული სიცრუე. დაიმახსოვრეთ ეს ციფრი: 642 980 კაცი.

**ეს იყო. ეს უნდა ვიცოდეთ და დავიმახსოვროთ.**

სტალინის დროს მთავარი პროცესებით, სადაც ასამართლებდნენ ქვეყნის მაღალ ჩინოვნიკებს, პოლიტიკურ ელიტას და სამხედროებს, ღალატის, დანაშაულებების და გამყიდველობის ფაქტები დადასტურებული იყო. ფაქტობრივად ყველა მსჯავრდებულმა აღიარა თავისი დანაშაული. ამ პროცესების მასალები ჩადებულია ინტერნეტში, ისინი შეიძლება ადვილად წაიკითხო და შეისწავლო. მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ ფრთხილად. ხელთ მაქვს წიგნი „სასამართლო ანგარიში ანტისაბჭოთა „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე, გამოშვებული 100 000 ცალად 1938 წელს. ეს, როგორც იტყვიან, საკითხთან დაკავშირებით სტალინის დროს ყოველივე მომხდარის დახურულობისა და „საიდუმლოების“ შესახებ. მაგრამ ყველაზე საიდუმლო ეს როდია. როდესაც ვადარებდი განსასჯელთა გამოსვლების ტექსტებს და მათ ბოლო სიტყვებს, წიგნში რომაა დაბეჭდილი, აღმოვაჩინე უამრავი შეუთავსებელი რამ იმასთან, რაც მსოფლიო ობობას ქსელში შეიძლება აღმოაჩინო. ის, რაც განთავსებულია ინტერნეტში, მოცულობით ბევრად უფრო მეტია. ფალსიფიკაციაა? მგონი, კი. საკმარისია, უბრალოდ ნახო, თუ რა არის სასამართლოს მასალებში დამატებული. დამატებული კი, უწინარეს ყოვლისა, არის გადაჭარბებული დიდება და დითირამბები სტალინის მისამართით. წიგნში, რომელიც სტალინის დროს გამოიცა, ბელადის საქებარი სიტყვები დახვრეტამისჯილების სიტყვებში არაა. ინტერნეტში კი მათი რიცხვი უზარმაზარია.

აი, ტიპური მაგალითი (კურსივით გამოყოფილია ის, რაც არ არის 1938 წელს გამოცემულ წიგნში და არის ინტერნეტში):


მოკლული ლ. ტროცკი

*„ვალდებული ვარ, აქ მივუთითო ის, რაც არის ძალების პარალელოგრამზე, რისგანაც იქმნებოდა კონტრრევოლუციური ტაქტიკა. ტროცკი მოძრაობის მთავარი მოტორი იყო. და ყველაზე მკვეთრი დავალებები — ტერორი, დაზვერვა, სსრ კავშირის დანაწევრება, მავნებლობა — მოდიოდა, უწინარეს ყოვლისა, ამ წყაროებიდან.*

*მე შემიძლია დარწმუნებით ვივარაუდო, რომ ტროცკიც, ჩემი სხვა მოკავშირეებიც, II ინტერნაციონალიც შეეცდებიან, დაგვიცვან ჩვენ, კერძოდ, განსაკუთრებით მე, იმიტომ, რომ მე ამის შესახებ ველაპარაკე ნიკოლაევსკის. მე ამ დაცვას უარვყოფდი, ვინაიდან მუხლმოყრილი ვარ ქვეყნის წინაშე, პარტიის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე. განუზომელია ჩემი დანაშაულობების საზარლობა, განსაკუთრებით სსრ კავშირის ბრძოლის ახალ ეტაპზე. დაე, ეს პროცესი იყოს უკანასკნელი უმძიმესი გაკვეთილი, და, დაე, ყველამ დაინახოს სსრ კავშირის უდიდესი სიძლიერე, დაე, ყველამ დაინახოს, რომ კონტრრევოლუციური თეზისი სსრ კავშირის ეროვნული შეზღუდულობის შესახებ გამოეკიდა ჰაერში, როგორც საცოდავი ჩვარი. ყველა ხედავს ქვეყნის ბრძნულ მართვას, რაც სტალინის მიერ არის უზრუნველყოფილი. ამ შემეცნებით ველოდები განაჩენს. საქმე მხოლოდ მომნანიებელი მტრის არა მხოლოდ პიროვნულ განცდებშია, არამედ სსრ კავშირის აყვავებაში, მის საერთაშორისო მნიშვნელობაში“ (ბუხარინის გამოსვლიდან).*

ვიღაცას ძალიან უნდა, მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ სტალინი სჯიდა უდანაშაულოებს, სჯიდა მომხრეებს და არა ბოროტ მტრებს...

ფალსიფიკატორებმა გვარიანად იშრომეს. მათ მოამზადეს ყალბი დოკუმენტები, დაწერეს სახელმძღვანელოები, ცრუ მონაცემებით რომ არიან აღსავსე. ისინი შეეცადნენ, ბრალი დაედოთ სტალინისთვის ყველა წარმოსადგენ და წარმოუდგენელ ცოდვებსა და დანაშაულებში. იმასაც არ მოერიდნენ, რომ გაეყალბებინათ მემუარები. და ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრებთ შემდეგ თავში...

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**
(გაგრძელება იქნება)




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-92

# ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი

## ქართლის მეფენი

### ვახტანგ V შაჰნავაზი

პირველი მეფე ბაგრატიონთა მუხრანის შტოისა, შვილობილი და მემკვიდრე როსტომ მეფისა, დედით შვილიშვილი გიორგი სააკაძისა, ქართლის მეფე 1648-1675 წლებში. მხარში ედგა როსტომ მეფეს კახეთის მეფის თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართლის მეფედ დაამტკიცა შაჰ აბას I-მა, მას შემდეგ, რაც რჯული და სახელი გამოიცვალა და შაჰნავაზი დაირქვა.

მისი მეფობის ჟამს კახეთში ბახტრიონის აჯანყება მოეწყო, რომელშიც ქართლის მეფეს მონაწილეობა არ მიუღია. ქსნისა და არაგვის ერისთავები ვახტანგ მეფეს მტრობდნენ. ახლა ვახტანგმა დრო იხელთა და შაჰის ბრძანებით არაგვის ერისთავს ზაალს დისწულები მიუსია და მოაკვლევინა, ხოლო ზაალის შვილები – ზურაბი და ნაზერალი შეიპყრო და ირანში გაუგზავნა შაჰს. ამასობაში შაჰმა ბახტრიონის ბრძოლის მეთაურები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები თურქმანებს (ვისი თვისტომნიც გაწყვიტეს ბახტრიონთან) წამებით დაახოცვინა.





ვახტანგმა იმერეთში ატეხილი არეულობით ისარგებლა და ჯარით გადავიდა დასავლეთ საქართველოში. ვახტანგმა და სამეგრელოს მთავარმა ვამიყ დადიანმა იმერეთი შუაზე გაიყვეს. დამოყვრდნენ კიდეც: დადიანმა თავისი ასული ვახტანგის ვაჟზე არჩილზე დაწინდა (ეს 1660 წელს მოხდა). მაგრამ ვახტანგის გამობრუნებისთანავე დადიანმა პირობა გატეხა და მთელი იმერეთი თავის საკუთრებად გამოაცხადა, ხოლო თავისი ქალიშვილი, არჩილის საცოლე, ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა. მაშინ იმერეთის თავადებმა ღოღობერიძე მოკლეს და ვახტანგ მეფე იმერეთს მიიწვიეს. ვახტანგი ჯარით გადავიდა დასავლეთში. მთელი ზემო იმერეთი მას შეუერთდა. ვახტანგი სამეგრელოშიც შევიდა. ვამიყ დადიანი სვანეთში გაიქცა. ვახტანგმა მის ტახტზე დასვა შამადავლა, ახალი სახელით ლევან III დადიანი, რომელსაც მაშინვე ცოლად შერთო თავისი ძმის კონსტანტინეს ულამაზესი ასული თამარი, ხოლო იმერეთის ტახტზე აიყვანა თავისი ძე არჩილი. ასე რომ, 1661 წელს საქართველო თითქმის გაერთიანებული იყო, მასში მხოლოდ სამცხე-საათაბაგო არ შედიოდა.

მაგრამ ეს არც ირანს და არც თურქეთს ხელს არ აძლევდათ. ვახტანგმაც შაჰისგან შესაბამისი ბრძანება მიიღო და არჩილი იმერეთიდან წაიყვანა, იმერეთის ტახტზე კი მანამდე ტყვედ მყოფი უსინათლო ბაგრატ IV აიყვანეს. ირანის შაჰმა იმერეთიდან „გამოთავისუფლებული“ არჩილი კახეთის მეფედ დანიშნა. ვახტანგსა და არჩილს აქ ბრძოლა მოუხდათ კახეთის ტახტის მაძიებელთან, თეიმურაზ I-ის შვილიშვილთან, რუსეთში გაზრდილ ერეკლესთან. ერეკლემ ყველა ბრძოლა წააგო და ისევ რუსეთში დაბრუნდა.

ვახტანგი შეუსვენებლად იღვწოდა ქართლის მოშენება-აღორძინებისთვის. 1675 წელს იგი ახალმა შაჰმა სულთან სულეიმანმა იხმო ირანში. ისიც წავიდა და გზაში, ქალაქ ხოშკარუში მოულოდნელად გარდაიცვალა. შაჰ სულთან სულეიმანის ბრძანებით ის ყუმში წაასვენეს და მამობილის როსტომ მეფის გვერდით დაკრძალეს. მემატიანის სიტყვით ვახტანგი იყო „საქმის ხელ-გამომავალი, მხნე, ახოვანი და გამარჯვებული, მაღალნიჭიერი სამხედრო, სამოქალაქო და სამოსამართლო ხელისუფალი“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75, 88.

### გიორგი XI

ვახტანგ შაჰნავაზის ძე, არჩილის მომდევნო ძმა, ქართლის მეფე პირველად 1676-1688 წლებში, მეორედ – 1703-1709 წლებში. „იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, მშვენიერ-ჰაეროვანი, პირმხიარული, ენა ტკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო“.

ირანის შაჰმა მეფედ მას შემდეგ დაამტკიცა, რაც გიორგიმ მაჰმადიანობა მიიღო და ახალი სახელი „შაჰ ნავაზ II“ დაირქვა. მაგრამ გიორგის მამამისზე უფრო განცალკევებით ეჭირა თავი ირანისგან. შაჰმა გადაწყვიტა, შიგნიდან გაეტეხა ციხე – შეთქმულებით დაემხო გიორგი. მაგრამ მეფემ ეს შეიტყო და შეთქმული თავადები უმოწყალოდ ამოწყვიტა. შაჰმა გიორგის ქართლის მეფობა ჩამოართვა ერეკლე ნაზირ-ალი-ხანის



სასარგებლოდ, თვითონ ის კი ირანს მიიწვია, სამეფოდ სხვა ქვეყანას მოგცემ და მრავალ სხვა საბოძვარსაც გიბოძებო. გიორგი არ დამორჩილდა: არც ირანს წავიდა და არც ქართლის ტახტი დათმო. ოთხი წელი ებრძოდნენ ერთმანეთს გიორგი XI და ერეკლე. ბოლოს გიორგიმ მაინც დათმო ტახტი და ირანს წავიდა. შაჰი დიდი პატივით დახვდა, ქირმანის ბეგლარბეგად განამწესა და ბელუჯებსა და ავღანელებთან საომრად გაგზავნა, ძმასთან ლევანთან ერთად, რომელიც ირანში მძევლად იმყოფებოდა. ძმებმა ზედიზედ დაამარცხეს ირანის მტრები. გახარებულმა შაჰმა სულთან სულეიმანმა გიორგი წყალობით აავსო. 1703 წელს ისევ დაუბრუნა ქართლის მეფობა, ხოლო ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს კახეთის ტახტი დაუნარჩუნა. გიორგის მისცა აგრეთვე, სპარსეთის საომარ ძალთა მთავარსარდლობა და ქირმანის, ყანდაჰარისა და გირიშკის ბეგლარბეგობა. ეს თანამდებობები გიორგის ავალდებულებდა ირანში დარჩენილიყო, ხოლო ქართლში „ნაიბად“, ანუ „ჯანიშინად“ (მოადგილედ) ძმა ლევანი გაეშვა.

1704 წელს გიორგიმ 20000-იანი სპარსული არმიით, რომელსაც წინ 2 ათასი ქართველი მიუძღოდა, დაიპყრო ავღანეთი, და ირანის შაჰს დაუმორჩილა. 4 წელი იჯდა იქ. ამასობაში ადგილობრივი ტომის ბელადი მირ-ვეისი შეთქმულებას ამზადებდა. აჯანყების დროც შეირჩა: გიორგიმ მირ-ვეისის ასული მგზნებარედ შეიყვარა და მისი წაყვანა აიჩემა. საგანგებო ნადიმზე ქართველებმა ქართულად ინადიმეს და არხეინად მიიძინეს. ავღანელებმა მძინარე ქართველები ამოწყვიტეს. გიორგიმ გამოღვიძება და რამდენიმე თავდამსხმელის მოკვლა მოასწრო, მაგრამ შორიდან დაშენილი ტყვიებით მოკლეს. „მაჰმადიან“ მეფე გიორგი XI-ეს მკერდზე ჯვარი და სასთუმალქვეშ სახარება უპოვეს. ეს მოხდა 1709 წ. 21 აპრილს.

### ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანი

უფროსი ძე დავით (დათუნა) ბატონიშვილისა, შვილიშვილი თეიმურაზ I-ისა, ქართლის მეფე 1688-1703 წლებში, კახეთის მეფე 1703-1709 წ.წ. 6 წლისა დაობლდა, 10 წლისა „აღსაზრდელად“ გაგზავნეს რუსეთის მეფე ალექსი რომანოვის კარზე. 1606 წელს საქართველოში დაბრუნდა კახეთის ტახტის საძიებლად. ომი გაუმართა მამაშვილს ვახტანგ V-ეს და არჩილ II-ეს. ორი წლის მანძილზე ყველა შერკინებაში დამარცხდა და ისევ რუსეთის გაბრუნდა. კიდევ ექვსი წელი გაატარა რუსეთში. 1672 წ. დაიბადა უფლისწული პეტრე, რუსეთის მომავალი დიდი ხელმწიფე. მაშინ გაჩნდა ჭორი, რომ მეფე ალექსის ახალგაზრდა ცოლმა, ახალმა დედოფალმა ნატალია ნარიშკინამ უფლისწული პეტრე ქართველი ბატონიშვილისგან შვა. ერეკლეს მიმართ წლების მანძილზე თბილი დამოკიდებულება ერთბაშად გაცივდა და გაიყინა. ამასობაში ერეკლემ ირანის შაჰის სულეიმანის მოწვევა მიიღო. მაშინვე წამოვიდა რუსეთიდან, შაჰმა ერეკლეს ორივე სამეფო – ქართლიცა და კახეთიც ერთად შესთავაზა, ოღონდ წინასწარ მაჰმადიანობა მიიღეო. ერეკლე ჯერ გაძალიანდა. შაჰმა ციხეში ჩააგდო და ქართლის ტახტზე გიორგი XI დაამტკიცა, კახეთი კი ყიზილბაშ ბეჟან ხანს მისცა სამართავად. ერეკლე ბოლოს გატყდა, მაჰმადიანობაც მიიღო და ახალი სახელიც დაირქვა – ნაზარ-ალი-ხანი. მაშინ შაჰმა სულეიმანმა გიორგი XI ქართლის მეფობიდან გადააყენა და ქართლის ტახტი ნაზარ-ალი-ხანს დაუმტკიცა (1688). გიორგი მას ბრძოლით შეხვდა და ეს ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. 1696 წელს გიორგი XI ისპაჰანს ჩავიდა და ახალ შაჰს სულთან ჰუსეინს შეურიგდა. შაჰმა ის ქართლის ტახტზე დააბრუნა, ხოლო ერეკლე I კახეთის მეფედ გადაიყვანა. ამასთან მას ყულარაღასობა – ირანის ყულის ჯარის (გვარდია) უფროსობაც დაუმტკიცა. ორივე მეფე ირანში დასჭირდათ და იქ დატოვეს. ხოლო ქართლსა და კახეთში გამგებლობა მათ „ჯანიშინებს“ (მოადგილეებს) დაევალათ. გიორგის ჯანიშინი გახდა მისი ძმისწული ვახტანგი, ხოლო ერეკლესი – მისი უფროსი ძე დავით იმამ-ყული-ხანი. ასე, რომ 6 წელიწადი (1703-1709 წწ) ერეკლეს კახეთის მეფე ერქვა, კახეთში კი ფეხიც



არ დაედგა. იგი აღესრულა 1709 წ. 22 წელი რუსეთს გაატარა, 20 წელი – სპარსეთს, 46 წლისა ქართლში გამეფდა, 61 წლისა კახეთის მეფედ იწოდა, აღესრულა 67 წლისა. იყო „ახოვანი და პირმშვენიერი“.

### ქაიხოსრო

ლევანის ძე, ვახტანგ V-ის შვილიშვილი, მეფეების – არჩილ II-ისა და გიორგი XI-ის ძმისწული, ქართლის მეფე 1709-1711 წ.წ. ეს ორწლიანი „ქართლის მეფობა“ ისე გაატარა, რომ ქართულ მიწაზე ფეხი არ დაუდგამს. ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა ქაიხოსრო ავღანელთაგან მოკლული გიორგი XI-ის მემკვიდრედ დასვა. ამ მემკვიდრეობაში იგულისხმებოდა ქართლის მეფობა, ირანის ჯარების მთავარსარდლობა და თავრაზისა და ბარდის ბეგლარბეგობა. ქართლს მისი სახელით როგორც ჯანიშინი, მისი ძმა ვახტანგი განაგებდა. ლევანის ორ ძეს აგრეთვე დიდი თანამდებობა ეკავა სპარსეთში: ლუარსაბს – ისპაჰანის ტარუღობა, იესეს – ქირმანის ბეგლარბეგობა.

1711 წელს ყანდაჰარის კედლებთან სასტიკი ომი გაჩაღდა ავღანელებსა და სპარსელთა შორის. ავღანელებს მირ-ვეისი ხელმძღვანელობდა, სპარსელ-ყიზილბაშებს – ქაიხოსრო ქართველთა გუნდით. ბრძოლა რამდენიმე დღე გაგრძელდა. ბოლოს სპარსელები გაიქცნენ ბრძოლის ველიდან და ქართველები მარტო დარჩნენ. მათ გაქცევა არ იკადრეს და ფეხმოუცვლელად შეაკვდნენ მტერს.

### იესე, ალი-ყული-ხანი

ძე ლევანისა, შვილიშვილი ვახტანგ V-ისა, ნახევარძმა ვახტანგ VI-ისა, ქართლის მეფე 1714-1716 წლებში. ყმაწვილკაცობიდან ცხოვრობდა ირანში. „გათათრდა“, იქვე სახელი გაითქვა სიმამაცით. 1711 წელს ყანდაჰართან ბრძოლაში მარჯვენა ფლანგს ხელმძღვანელობდა, მამაცურად იბრძოდა, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში მაინც მიატოვა ძმა – მეფე ქაიხოსრო. შაჰმა იესე ქართლის მეფედ გამოგზავნა. იესე იყო „ფრიად მიქცეული მაჰმადიანობასა ზედა-ხასიათით ბოროტი, ცბიერი და მზაკვარი.

ქართლში იესე „დროებით მეფედ“, ანუ „დროებით ბოროტებად“ მიაჩნდათ და ნამდვილ პატრონად ვახტანგი ეგულებოდათ. ქართველთა ამ „ანტიიესეურ მოძრაობას“ სათავეში ვახტანგის ძე ბაქარი ედგა. ბოლოს შაჰი ჰუსეინი ვახტანგის ფორმალურ გათათრებას დათანხმდა და ქართლის მეფედ გამოუშვა. საბოლოოდ იესე ტფილისის ციხეში მოხვდა.

ქართლის ტახტზე ვახტანგ VI ავიდა (1716 წ). 1721 წელს ვახტანგმა იესე ციხიდან გამოუშვა. მდივანბეგობა მისცა და საბატონოდ მუხრანი უბოძა. 1724 წელს, როცა ტფილისს ოსმალო დაეუფლა, იესე ოსმალთა სამსახურში შევიდა, სუნიტობა მიიღო და მუსტაფა დაირქვა. ოსმალთა სერასქერმა იგი ქართლის მეფედ გამოაცხადა. სამი წელი იყო კიდეც ვითომ ქართლის მეფე, აღესრულა 1727 წელს.

**მოამზადა ალეკო ასლანიშვილმა**

*(გაგრძელება იქნება)*

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მულხურას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 67 200 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 011 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 901,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 706 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. საყდარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩოლშურაზე „საყდარის" ლოდნარის (ზედაპირული აკრეფვა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 10 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. საყდარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 934 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 193,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 167 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 3 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) სალიცენზიო ობიექტზე ინერტული მასალის მოპოვება უნდა წარიმართოს კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>ვ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საავტომობილო გზის დაზიანების შემთხვევაში, მოხდეს მისი აღდგენა ლიცენზიანტის მიერ.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 201 300 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 26 992 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2699,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 13 696 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან რაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვაზაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ხონის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 34 200 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვაზაურის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 206 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 520,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2803 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი და ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პერიოდში თუ საფრთხე შეექმნება მაგისტრალური გაზსადენის ფუმქციონირებას, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მოპოვებითი სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიანტს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორია, „ახალი სამგორის" თიხა-თაბაშირის (გაჯი) საბადო (კატეგორია - B+C$_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 71 136 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 19 842 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 984,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 16 074 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი სენაკი; მშვიდობის ქ. N207 (ყოფ. 197), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7 300 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი სენაკი; მშვიდობის ქ. N207 (ყოფ. 197) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 236 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 23,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 318 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 |

| | | |
|---|---|---|
| | მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს |
| | | ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით განსაზღვრული მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარული წესების უზრუნველმყოფი ღონისძიებები.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 162 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 16,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 281 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 |
| | | ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა, N36, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა -1 095 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა, N36 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის |

| | | |
|---|---|---|
| | | მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 37 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 3,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 219 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუკუზანის ტერიტორია, „ნადარბაზევი“, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუკუზანის ტერიტორია, „ნადარბაზევი“ |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 37 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 3,7ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 219 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 11** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო |
| | | (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 8 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 6 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 6 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## წინ, საქართველო!

# ოლიმპიურმა ჩემპიონმა ევროპა გაასამა



**სახელოვანი ფალავანია გორელი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ევროპის პირველობა მესამედ მოიგო. როგორც შარშან, სერბულ ნოვი სადში მან ამჯერადაც 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და ტიტული შეინარჩუნა.**

26 წლის ქართველი პაექრობაში მეორე წრიდან ჩაება და მოლდოველ ანდრეი პერპელიტას 4:1 აჯობა. აზერბაიჯანელ ახმედნაბი გვარზატილოვთან პირველი პერიოდი მან მინიმალური ანგარიშით დათმო, მეორე პერიოდის პირველ წუთზეც მეტოქეს ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა — 9:5. ნახევარფინალში ჩვენებურს უკრაინელი პეტრო ბილეიჩუკი დაუპირისპირდა, მაგრამ ხინჩეგაშვილს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია — 2:8 წააგო. დაძაბული და დრამატული გამოდგა გადამწყვეტი პაექრობა რუსეთის ნაკრების წევრ ახმედ ჩაკაევთან. საფინალო გონგამდე წუთნახევრით ადრე ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი შვიდი ქულით იყო წინ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა სასწაული მოახდინა — ერთ წუთში ჩაკაევს 10 ქულა აართვა და სამი ქულით დაწინაურდა, ორთაბრძოლის მიწურულს მეტოქეს 2 ქულა ტაქტიკურად დაუთმო და წარმატებას მიაღწია (10:9), რითაც, როგორც ვთქვით, 61 კილოში წოდება დაიცვა.

74 კგ წონით კატეგორიაში ავთანდილ კენჭაძემ იჭიდავა და უმედლოდ დარჩა. მართალია, მან პირველ ორ შეხვედრაში რუმინელ ვასილე მადალინ მინზალასა (5:1) და ბულგარელ სვეტოსლავ ჟივკოვ დიმიტროვს სძლია (15:4), მაგრამ მეოთხედფინალში სომეხ გრიგორ გრიგორიანთან ბოლო წამზე გაშვებული ორქულიანი ილეთით 4:5 დამარცხდა. თავიდან მსაჯებმა მიიჩნიეს, რომ სომეხმა მოჭიდავემ ილეთი გადაცილებულ დროში ჩაატარა, რაც გრიგორიანის მწვრთნელებმა გააპროტესტეს. მსაჯთა სამდივნომ ვიდეოჩანაწერის განხილვის შემდეგ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა, ქართველებს კი ყური არავინ უგდო.

**ლექსო ცინცაძე**

## ესპანური საფეხბურთო მოზაიკა



**„ბარსელონას“ ბრაზილიელმა შემტევმა ნეიმარმა კლუბის მომავალზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალ თავკაცად ხუან კარლოს უნსუეს ისურვებდა.**

ლუის ენრიკე სეზონის ბოლოს „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს და ამჟამად უნსუე სწორედ მისი ასისტენტია. ჯერჯერობით ლუის ენრიკეს შემცვლელის ვინაობა უცნობია.

უნსუეს აქამდე „ნუმანსია“ და „რასინგი“ გაუწვრთნია, ხოლო „სელტასა“ და, როგორც ზემოთ ითქვა, „ბარსელონაში“ მესაჭის ასისტენტად უმუშავია.

---

**„ვალენსიამ“ ორ ახალგაზრდა მოთამაშეს — ნაჩო ხილს და ნაჩო ვიდალს ახალი კონტრაქტები გაუფორმა. აღნიშნული ინფორმაცია „ღამურების“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა დაადასტურა.**

ახალი ხელშეკრულებების მიხედვით, ორივე მოთამაშე „მესტალიაზე“ 2020 წლის ივნისამდე დარჩება.

22 წლის ვიდალი მარჯვენა მცველია და „ვალენსიას“ ახალგაზრდული კლუბის უცვლელი წევრია (35 მატჩი, 3 გოლი), ხოლო ხილი 21 წლის მარცხენა ვინგერია და ისიც ერთ-ერთი ლიდერია (29 მატჩი, 7 გოლი). აღსანიშნავია, რომ ხილი „ღამურების“ ძირითად გუნდშიც გამოჩნდა ორჯერ, თუმცა, სულ რამდენიმე წუთს მოუწია თამაში.

მიმდინარე სეზონს ახალგაზრდა „ღამურები“ ძალიან კარგად ატარებენ, სეგუნდა B-ს მესამე ჯგუფში მე-3 ადგილს იკავებენ და ლა ლიგა 2-ში გადასვლის რეალური შანსი აქვთ. ეს ფაქტი კლუბის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია და ლიდერებს ხელშეკრულებები გაუხანგრძლივა.

---

**„მონაკოს“ 18 წლის ფორვარდმა კილიან მბაპემ საკუთარი მომავლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.როგორც ესპანური** Marca **ირწმუნება, ფრანგ ფეხბურთელს „რეალში“ თამაში სურს და გადასვლაზე უკვე დათანხმდა მადრიდელებს.**

„სამეფო კლუბის“ წარმომადგენლები მბაპეს მთელი სეზონის განმავლობაში ყურადღებით აკვირდებოდნენ და კასტილიაში დარწმუნებული არიან, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელი გუნდს დიდ სარგებელს მოუტანს. რაც შეეხება თავად მბაპეს არჩევანს, რომელიც წინადადებების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის, წყაროს ცნობით, ის მეტწილად ზინედინ ზიდანის ფაქტორითაა განპირობებული.

გარიგების ფინანსურ მხარეზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, თუმცა, „მონაკოს“ ბიუჯეტი ამ ტრანსფერით სოლიდურად რომ შეივსება, ძნელი მისახვედრი ნამდვილად არაა. დაახლოებით რა ოდენობის თანხებზეა საუბარი, შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ თუნდაც რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციით: მბაპეს სანაცვლოდ 85 მილიონ ევროს იხდიდა „მანჩესტერ იუნაიტედი“, მაგრამ „მონაკომ“ 120 მილიონი მოითხოვა და ინგლისელებთან მოლაპარაკება შეჩერდა.

მბაპე „მონაკოს“ პირველ გუნდში 2015 წელს გამოჩნდა, მიმდინარე სეზონში კი წამყვან მოთამაშედ იქცა: 39 მატჩი, 24 გოლი — ასეთია ახალგაზრდა ფეხბურთელის მონაგარი ამ სეზონში და მას გუნდის წარმატებულ გამოსვლაში როგორც საფრანგეთის ჩემპიონატში, ასევე ჩემპიონთა ლიგაზე, დიდი წვლილი მიუძღვის. კილიანს წელს საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. ფეხბურთელს „მონაკოსთან“ კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

---

**ევროპა ლიგა. ნახევარფინალი. | მატჩი. „სელტა“-„მანჩესტერი“ 0:1.**

**გიორგი შოთაძე**

## დაფასება

# მზიურის კორტებს ალექსანდრე მეტრეველის სახელი მიენიჭა

**მზიურში მდებარე საჩოგბურთო კომპლექსს ლეგენდარული ქართველი მოთამაშის ალექსანდრე მეტრეველის სახელი მიენიჭა.**

თბილისის საკრებულომ ეს გადაწყვეტილება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს რჩევით მიიღო. ამ მოვლენასთან დაკავშირებით კორტებზე სიმბოლური დაფა გაიხსნა. საზეიმო ცერემონიას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე მეტრეველი უმცროსი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და სპეციალურად ამ დღისთვის თბილისში ჩამოსული ალექსანდრე მეტრეველი დაესწრნენ.

„პირადად ვულოცავ ბატონ ალექსანდრეს დღევანდელ დღეს. ის ლეგენდარული ქართველი სპორტსმენია და რაც არანაკლებ სასიამოვნოა, ძალიან კარგი პიროვნებაა, რაც მის სიდიადეს დამატებით ხიბლს სძენს. თბილისი, ისევე, როგორც საქართველო, რეგიონის სპორტულ ცენტრად ყალიბდება და ეს საჩოგბურთო კომპლექსი ჩემი სიტყვების ნათელი დადასტურებაა. იცით, რომ აქაურობა ამ ცოტა ხნის წინათ სრულად გადაეცა ჩოგბურთის ფედერაციას. სასიხარულოა, რომ უკვე მოძიებულია კერძო ინვესტორი, რომელიც ორ კორტს გადახურავს და სპორტსმენები ყველანაირ ამინდში ივარჯიშებენ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ ალექსანდრეს და ჩოგბურთის ყველა გულშემატკივარს“, — განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა**.

„ჩემთვის დღევანდელი დღე დაუვიწყარი და ამაღელვებელია! სიმართლე გითხრათ, სიტყვებს ვერ ვპოულობ მადლობის სათქმელად... ამ სამახსოვრო დაფაზე, მართალია, მხოლოდ ჩემი სახელია ამოტვიფრული, მაგრამ არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი დღით პატივი მიეგება ყველა ქართველ ჩოგბურთელს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ასახელა: თეიმურაზ კაკულია, ლეილა მესხი, რენა აბჟანდაძე, ძმები მძინარიშვილები... ყველას ვერ ჩამოვთვლი, ბევრი იყო ასეთი. და ვიმედოვნებ, ამ მართლაც ლამაზ საჩოგბურთო კომპლექსში კიდევ არაერთი სახელოვანი მოთამაშე გაიზრდება“, — განაცხადა **ალექსანდრე მეტრეველმა**.

მეტრეველი მეორე თანამედროვეა, ვისი სახელიც სპორტულ კომპლექსს მიენიჭა. პირველი ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ, რომლის სახელიც ვერის პარკში მდებარე ჭადრაკის სასახლეს ეწოდა.

ალექსანდრე მეტრეველი თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნომერ პირველი ჩოგანი გახლდათ. ის თვრამეტი სეზონის განმავლობაში ხვდებოდა ქვეყნის ათ საუკეთესო მოთამაშეს შორის, თორმეტჯერ კი წელი პირველ ნომრად დაასრულა!

1966-1967, 1969-1976, 1978 და 1980 წლებში მან თორმეტჯერ მოიგო სსრკ ჩემპიონის ტიტული, ხოლო წყვილებსა და მიქსტში კიდევ ჩვიდმეტჯერ მოიპოვა ოქროს მედალი. ალექსანდრე მეტრეველი ევროპის თექვსმეტგზის




ჩემპიონია, აქედან 1970-1971, 1973, 1975, 1977-1978 წლებში ერთეულთა შორის. 1975 წელს იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

მისი საუკეთესო შედეგი დიდი სლემის ტურნირებში 1973 წლის უიმბლდონის ფინალია. 1968 და 1970 წლებში მან უიმბლდონზე შერეულ წყვილთა ფინალში იასპარეზა ოლგა მოროზოვასთან ერთად, 1972 წელს ავსტრალიის ღია პირველობის და როლან გაროსის ნახევარფინალში იასპარეზა, ამერიკის ღია პირველობაზე კი მისი საუკეთესო შედეგი მეოთხედფინალია.

1974 წელს ის მსოფლიო რეიტინგის მე-9 ნომერი იყო. არც მანამდე და არც მას შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელ ვაჟებს ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## მოვლენის წინ

# უიმბლდონის საპრიზო ფონდი გაიზარდა




**ჩოგბურთში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის უიმბლდონის საპრიზო ფონდი გაიზარდა. 2016 წელს მისი საპრიზო ფონდი 28.1 მილიონი გირვანქა სტერლინგი გახლდათ, ხოლო 2017 წელს 31.6 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება.**

მაგალითისთვის, ერთეულთა თანრიგის გამარჯვებულისთვის 10%-იანი ზრდა მოხდება: 2016 წელს 2 მილიონი იყო, ხოლო 2017 წელს გამარჯვებული 2,2 მილიონს მიიღებს. პირველ რაუნდში დამარცხებულმა ჩოგბურთელმა შარშან 30 000 მიიღო, ხოლო წელს 35 000-ს ჩაიჯიბავს.

**კობა კობახიძე**

## ინტერნეტიდან

# მუშტები — წყვილად

**სხვისი რა გითხრათ და შერეული ორთაბრძოლების მოყვარულებმა კი ნამდვილად აღიარეს, რომ „ფერი ფერსაო“ ზედმიწევნით ზუსტი ტერმინია. განსაკუთრებით ეს მას შემდეგ დამტკიცდა, რაც ცნობილი გახდა, რომ ამერიკელი მოჩხუბარი ქალი რონდა როუზი ასევე მუშტისმკვრელ ტრევის ბრაუნზე დაინიშნა.**

როგორც ამერიკული მედია გვამცნობს, ტრევისი ცოტა ხნის წინათ გაშორდა თავის მოდელ ცოლს, რომელიც ჩიოდა, რომ მუშტისმქნევი ქმარი ხშირად უბაგუნებდა და მას უბრალოდ აღარ შეეძლო ამ ყველაფრის ატანა. რონდა როუზი კი თავადაც შერეული ორთაბრძოლების ოსტატია და თავს ქმარს ადვილად არ გაალახინებს.

ისე, რა დასამალია და ჭეშმარიტად საინტერესო იქნება ამ წყვილის ტრფიალების ისტორია. პატარა ამბავი ხომ არაა, ორი მებრძოლი ერთ ოჯახში, და მათ შორის გაჩენილი კონფლიქტის მოგვარების გზების წარმოდგენაც არ იქნება რთული. მოჩხუბარი პატარძლის ხილვა კი ცალკე სიამეა.

**როსტომ რაჭველიშვილი**



◉ მაინც სიღარიბემდე დავდივართ...

# „არაჰიგიენურ პირობებში შეგროვებული ბოთლები ჯერ ჩაბარების პუნქტებში ხვდება, შემდეგ – სუფრაზე“

**დედაქალაქისთვის** უმძიმეს გამოწვევად რჩება ნაგვის ბუნკერებთან მოფუსფუსე ხალხის, ე.წ. ბომჟების საკითხი. რაც არ უნდა ბედნიერებით ბრწყინავდეს ადამიანი, ამ ღარიბი ხალხის შემხედვარე მაინც მოუწევს დედამიწაზე დაბრუნება და სხვის გაჭირვებაზე დაფიქრება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც ისე მარტივადაა საქმე და ბუნკერებს მხოლოდ ერთეულები თუ მიაკითხავენ საჭმლის ამოსაღებად და საკუთარი თავისა თუ ძაღლების ან კატების გამოსაკვებად. ამ ადამიანთა დიდი ნაწილი აქ ბოთლებს, რკინებს, შუშებს, მაკულატურას დაეძებს, რათა ეს ნივთები კონკრეტულ პუნქტებში ჩააბაროს და მიზერული ანაზღაურება მიიღოს. ხოლო, სად ხვდება ეს ბოთლები ბუნკერებიდან, ეს ადვილი მისახვედრია.



საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი, პროფესორი თემურ ვეკუა For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბუნკერებთან სპეციალური დანიშნულების ხალხი დგას, რომელთაც ნაგვიდან „ღირებული“ რამ ამოაქვთ. ეს არის ბოთლები, მეტალი, ქაღალდი, მაკულატურა, შუშა, პლასტმასები, ყველაფერი, რაც შეიძლება ჩაბარებულ იქნას. ამიტომ ირონიულად რომ ვთქვათ, ჩვენი ნაგავი გაღარიბებულია. აქ რომ ჩამოვიდეს ინვესტორი და ნაგვის გადასამუშავებელი საწარმო გახსნას, მისი გადამუშავების შედეგად არავითარ მოგებას არ მიიღებს, რადგან ეს ნაგავი უკვე გადარჩეულია. ამდენად, ინვესტორი სარგებელს ვერ მიიღებს და ამ საქმეს არ დასთანხმდება.

**„დამიჯერეთ, საჭმელს იქ არავინ ეძებს. ეს ადრე იყო. ნაგავში ქართველი საჭმელს არ ეძებს, ყველა უბანს და ყველა ბუნკერს ჰყავს თავისი „პატრონი“. მივლია დილით და დავკვირვებივარ, ეს ლუმპენი ხალხი ბოთლებს, რკინას აგროვებს და შემდეგ აბარებს. სანამ ნაგვის მანქანა მოვა, იქაურობა უკვე გამოშიგნულია. გადაყრილ ერთ ბოთლს 5 თეთრად აბარებენ, მერე ჩაასხამენ იმაში ლუდს ან ლიმონათს და გვალევინებენ.**

დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ადამიანების ბუნკერებთან დანახვის ფაქტები მძიმე სანახავია, მაგრამ თვით განვითარებულ ქვეყნებშიც არის ასეთი შემთხვევები.

**„მართალი გითხრათ, წესიერი, ინტელიგენტი ხალხიც მინახავს ასეთ მძიმე მდგომარეობაში. თავის დროზე კარგი ხელფასი ჰქონდათ, მაგრამ 90-იან წლებში ისე გაუჭირდათ, რომ სამუშაო ვერ იშოვეს და ბუნკერში უძებნიათ საჭმელი, თან აქეთ-იქით იხედებოდნენ, ნაცნობს არ დაენახა. ისიც გამიგია, ბაზარში გაუვლიათ და გამყიდველისთვის უთხოვიათ, დოცენტი ვარ და ერთ სტაფილოს ავიღებო. თუმცა ახლა საჭმელს თითქმის აღარ ეძებენ, ბოლო წლებში ბომჟები თუ მივლენ ბუნკერებთან, რადგან ბევრი ისეთი რამ არის გადაყრილი, რაც სხვისთვის გამოსადეგია. მათ შორის, ჩასაცმელი, ფეხსაცმელი.**

**ახლა ფეხსაცმელი თითქმის აღარ მიაქვთ მეწაღესთან გასაახლებლად. ხშირად მინახავს, ბუნკერზე ჩამოუკიდებიათ ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. ცხადია, ამას არავინ დატოვებს და ბოთლებსაც გააყოლებენ ხოლმე. ძალზე ცუდია, რომ ასეთ არაჰიგიენურ პირობებში შეგროვილი ბოთლები ჯერ ჩაბარების პუნქტებში ხვდება, მერე სუფრაზე. არავინ იცის, კარგად რეცხავენ თუ არა ამ ბოთლებს. პლასტმასის ბოთლებსაც აგროვებენ, მაგრამ ასე დაბინძურებულ პლასტმასს იმდენი რეცხვა სჭირდება, რომ ჯობს, ასეთი ჩაბარების პუნქტები საერთოდ გაუქმდეს. სპეციალური სამსახური უნდა არსებობდეს, რომელიც გააკონტროლებს, ეს ბოთლები სად მიაქვთ და როგორ ირეცხება“,**–აცხადებს ანზორ თოთაძე.

მისივე თქმით, ძალიან ძნელია ამ პრობლემის გადაწყვეტა. სიღარიბის ფონზე ადამიანს ვერ ეტყვი, არ ჩაიხედოს ბუნკერში და იქ ნაპოვნი გადაგდებული კოვზი თუ ჭიქა არ გამოიყენოს. თუმცა შესაძლოა, დავფიქრდეთ, მთლიანობაში, გვიღირს თუ არა საგნების მეორადი გამოყენება? მით უმეტეს, არავინ იცის, ვის ეცვა მეორადი ტანსაცმელი, რა ავადმყოფობა ჰქონდა მას. სულ უბრალოდ, როცა ადამიანს კანის დაავადება აქვს და წამალს უნიშნავენ, ექიმები ურჩევენ, საკუთარი ტრუსიც კი ყოველდღიურად გამოხარშოს, გააუთოვოს და ისე ჩაიცვას. ამ დროს კი, ჩვენში მეორადი ტრუსებიც იყიდება. მეორად ტანსაცმელს ვინ გამოხარშავს?! ეს ყველაფერი ჩვენი სიღარიბის ბრალია.

**მანანა ნოზაძე**

## „ავაზა“ პლასტმასის ნარჩენების, ჩამონაჭრებისა და ჯართის გადამუშავებას გეგმავს

**„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარების რიცხვს კიდევ ერთი ბენეფიციარი კომპანია, შპს „ავაზა“ შეემატა, რომელიც პლასტმასის ნარჩენების, ჩამონაჭრებისა და ჯართის გადამუშავებას შეძლებს.**

აწარმოე საქართველოში

ბიზნესი

ალსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების (AA) თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება გარემოს დაცვის კუთხით ითანამშრომლოს შესაბამის ევროსტრუქტურებთან, რომლის შესრულებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მყარი ნარჩენების გადამუშავებას. სწორედ, ხსენებული პროექტის საშუალებით ქ. ბათუმში, წერეთლის ქ. №4-ში გაიხსნება პლასტმასის ნარჩენების, ჩამონაჭრებისა და ჯართის წინასწარი დამუშავების საწარმო, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე 10 ადამიანის დასაქმებას შეძლებს.

შპს „ავაზა“, რომელიც 2018 წლის იანვრის თვეში გაიხსნება, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 396 000 ლარს შეადგენს.

### დაზუსტება

**ჩვენი გაზეთის 5 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ადამიანთა მეტყველებაში სიტყვა „მაგარის“ ხშირი ხმარების გენეტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლების“ ავტორებად მოხსენიებული არიან ზურაბ ხელაძე და ზაზა ხელაძე, უნდა იყოს ზურაბ ხელაძე და ზვიად ხელაძე.**

◉ ევროპის დღეები

# უფრო კარგად რომ ვიცნობდეთ ერთმანეთს...

**ორშაბათს თბილისში უკვე ტრადიციად ქცეული ევროპის დღეები დაიწყება, რომლებიც სტარტს რიყეზე მოწყობილ ევროსოფელში აიღებს, სადაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა თავიანთი კუთხეები მოაწყვეს.**





8 მაისს რიყეზე მისულ სტუმრებს ევროპული სამზარეულოს კერძების დაგემოვნებისა და სხვადასხვა სანახაობის ხილვის შესაძლებლობა ექნებათ.

საღამოზე კი სტუმრებს ცნობილი ქართველი და ევროპელი შემსრულებლები კონცერტს გაუმართავენ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსის ევროვიზიის მონაწილეები ნინა სუბლატი და ჯგუფი „ელდინე“, იტალიელი ტენორი პიერ მაცოკეტი და საქართველოს ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“...

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ დასწრება უფასოა.

ევროპის დღეები დედაქალაქში მაისის მიწურულამდე, 29 რიცხვამდე გასტანს, რა დროსაც უამრავი სადღესასწაულო ღონისძიება – კონცერტი, ლიტერატურული საღამო, თეატრალური წარმოდგენა, სპორტული ასპარეზობა, ფოტო და სამხატვრო გამოფენა გაიმართება.

ამ მასშტაბური ღონისძიების მიზანია საქართველოს მოქალაქეთათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნების კულტურისა და მთავრობების აქტივობების გაცნობა

**ნინო ალექსანდრია**
**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო

# იაპონელი ღვინის მაგისტრი ქართულ ღვინოს იკვლევს

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მოწვევით, იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში ქართული ღვინის ბაზრის კვლევის მიზნით საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია. იაპონელ ღვინის პროფესიონალს თან ახლავს იაპონიის სომელიეთა ასოციაციის ჟურნალის (JSA) წარმომადგენელი, ღვინის მწერალი აკიჰიკო იამამოტო, რომელიც 2018 წელს JSA-ში გამოსაქვეყნებლად ქართულ ღვინოზე ვრცელ სტატიას ამზადებს.**

კენიჩი ოჰაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია იაპონიაში და მისი ვიზიტის მიზანი ქართული ღვინის ადგილზე გაცნობა და იაპონელი მომხმარებლისთვის შეთავაზებაა. საქართველოში ვიზიტის პირველ დღეს იაპონელმა სტუმრებმა შეხვედრა გამართეს ღვინის ეროვნულ სააგენტოში, დაათვალიერეს სააგენტოს მუზეუმი და ენოთეკა, ეწვიენ ღვინის კომპანიას „შატო მუხრანს“. ვიზიტი კახეთში გაგრძელდა და სტუმრებს საერთო ჯამში შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ 100-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინო.



კენიჩი ოჰაშიზე ქართულმა ღვინომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

**„ქართულ ღვინოზე ფანტასტიკური შთაბეჭდილება დამრჩა, ჩემთვის ნამდვილად სამარცხვინოა, რომ აქამდე არ ვიცნობდი ქართულ ღვინოს. იაპონელებს მოსწონდათ საქართველოს ისტორია, მაგრამ ღვინოს არ ვიცნობდით. როდესაც აქ ჩამოვედი, უამრავი ინფორმაცია მივიღე, მათ შორის, საქართველოს ღვინის 8 000-წლიანი ისტორიის შესახებ. საქართველო ნამდვილად ღვინის პირველი მწარმოებელია, რის გამოც პატივისცემას იმსახურებს. ასევე საინტერესოა ჯიშების მრავალფეროვნება. ეს ყველაფერი ჩვენთვის ახალია და მინდა კიდევ უფრო მეტი გავიგოთ იაპონიაში ქართული ღვინის შესახებ, რადგან ეს უძველესი ისტორიული ცოდნაა, რაც ჩვენთვის სრულიად ახალია. მოხარული ვარ აქ ყოფნით, ჩემი აზრით, ქართულ ღვინოს არაჩვეულებრივი მომავალი აქვს. როგორც იცით, იაპონური სამზარეულო იუნესკოს არამატერიალურ ძეგლს წარმოადგენს და ქვევრში ღვინის დამზადებაც ასევე მსოფლიოს არამატერიალურ ძეგლთა სიაშია, მათი კომბინაცია კი ორმაგ არამატერიალურ მემკვიდრეობას ქმნის. ქართული ღვინოების უმრავლესობა მკვეთრად გამორჩეულია. ქართული ღვინო იაპონურ სამზარეულოს არაჩვეულებრივად ესადაგება, აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ იაპონურ ბაზარზე ქართულ ღვინოს არაჩვეულებრივი მომავალი აქვს“,** — აღნიშნა კენიჩი ოჰაშიმ.

იაპონელ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ შემდეგი ღვინის კომპანიების ღვინოები: „შატო მუხრანი“, „გიუაანი“, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „შუმი“, „თელავის ღვინის მარანი“, „თელედა“, „შუხმანის ღვინოები“, „ვაზიანი კომპანი“, „შალაურის ღვინის მარანი“, „მარანული“, „კახა ჭოტიაშვილის მეღვინეობა“, „მეღვინეობა ხარება“, ასევე ესტუმრნენ ქვევრის მწარმოებელს ზაზა კბილაშვილს, სადაც ადგილზე გაეცნენ ქვევრის წარმოების ტექნოლოგიას, ქართლში დააგემოვნეს „გოცას ღვინოები“..

# გილოცავთ!

## პროფესორ მაია როგავას, ჩვენს უფროს ძმისშვილს, ვულოცავთ იუბილეს



ჩვენთვის თითქოს გუშინ იყო ის ნიშანდობლივი 6 მაისი, როდესაც მაიკო მოევლინა ამქვეყანას.

თამარ და ვალიკო როგავების, ეთერ და შალვა გურაბანიძების კლანს, შვილებმა – ნაზიმემ და დავითმა (დამერლანმა) შეჰმატეს ქალიშვილი, რომელიც ამ ოჯახებში გახდა პირველი შვილი, შვილიშვილი, დისშვილი და ძმისშვილი.

ჩვენთვის თითქოს გუშინ იყო ის პირველი სექტემბერი, როდესაც მაიკო პირველად პირველ კლასში მივაცილეთ.

ყველა გულწრფელი, კეთილი მოლოცვა და სურვილი, რაც კი უკვე სიტყვიერად ითქვა, დაიწერა და მეგრულ-ქართული სიმღერით მოვიდა ჩვენამდე, უკლებლივ, გვინდა ამ წერილში ჩავატიოთ და საბედნიეროდ გადმოგცეთ ამ შესანიშნავ დღეს შენ, ჩვენო მაიკო, შენს მშობლებს და შენს ქმარ-შვილს, ჩვენი და შენი მამიდის ოჯახების სახელით.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!“ აი ეს, დიდი შოთას მიერ გამოთქმული ლეგენდარული, ისტორიულ-ლიტერატურული სიბრძნე, შენ შენი ცხოვრებით, სწავლულობით ჯერ თბილისში, მერე კი მოსკოვსა და ლონდონში, მეცნიერობით, კრეატიულობით, საზოგადოებაში აქტიური, ჯანსაღი და საქმიანი პოზიციით, საქართველოსთვის უანგარო სამსახურით, შენი დაუღალავი ქალობით, შვილობით, შესანიშნავი ქალ-ვაჟის დედობით და დღეს კი ბებიობით, დაადასტურე.

შენ ღირსი ხარ, ჩვენო მაიკო, რომ იხარო და იბედნიერო! ვეცადოთ, გვახსოვდეს ერთმანეთი, მრავალჟამიერ!

გკოცნით – ბიძიები სულიკო, ამირანი.

თბილისი-მოსკოვი. 6 მაისი, 2016 წ.

( P.S. გთავაზობთ ვებ-საიტს – www. maia rogava ).



## ყველაზე მდიდარი ბრიტანელი მუსიკოსი პოლ მაკარტნია

„სანდი თაიმსმა“ ყველაზე მდიდარი ბრიტანელი მუსიკოსების სია გამოქვეყნა. 2017 წლის რეიტინგში პირველ ადგილზე პოლ მაკარტნია. მისი ქონება 780 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. მეორე ადგილს 740 მილიონი ფუნტით ენდრიუ ლოიდ უებერი იკავებს. მდიდრების რეიტინგში მესამე პოზიციაზეა ჯგუფი „იუ-თუ“. შემდეგ მოდიან ელტონ ჯონი, მიკ ჯაგერი და ქიტ რიჩარდსი.

## ისლანდიური ვალუტა „სამეფო კარის თამაშებმა“ გაამყარა

სერიალი „სამეფო კარის თამაშები“ ისლანდიას ვალუტის გამყარებაში დაეხმარა. სააგენტო „ბლუმბერგის“ ცნობით, 2016 წელს ისლანდიური კრონი დოლარსა და ევროსთან მიმართებაში საგრძნობლად გამყარდა. ექსპერტების თქმით, ისლანდიური კრონის გამყარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ტურიზმს მიუძღვის. გასულ წელს ქვეყანას მილიონ 600 ათასი ტურისტი სტუმრობდა. წელს კი 2 მილიონზე მეტ ვიზიტორს ელოდებიან. ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს ისლანდიაში ის ტერიტორია იწვევს, სადაც პოპულარული „სამეფო კარის თამაშებია“ გადაღებული.

## ჩინელებმა ახალი თვითმფრინავი გამოუშვეს

ბოინგს კონკურენტი გამოუჩნდა. ახალმა ჩინურმა ავიალაინერმა ეს-919-მა სატესტო ფრენა წარმატებით შეასრულა. თვითმფრინავის ბორტზე საცდელი ფრენისას მხოლოდ 5 ადამიანი იმყოფებოდა. ლაინერის შექმნაზე ჩინელი კონსტრუქტორები 2008 წლიდან მუშაობდნენ. თვითმფრინავი უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და 168 მგზავრის გადაყვანა შეუძლია.

ფოტოკვირეული

# მაისში – „ქოლგის“ საფარველქვეშ

**ორმოცი ქვეყნის ხუთასზე მეტი ორიგინალური ფოტონამუშევრის ხილვის შესაძლებლობა ექნებათ თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს მე-16 ფოტოკვირეულის „KOLGA TBILISI PHOTO“ დღეებში, რომლებიც 5-11 მაისს მოეწყობა.**



უაღრესად წარმომადგენლობითი „KOLGA TBILISI PHOTO“ 15 საერთაშორისო და ადგილობრივ ჯგუფურ, ასევე პერსონალურ ფოტოგამოფენას, დისკუსიას, ლექციას, როკშოპს, უცხოელ ფოტოხელოვანთან შეხვედრასა და პორტფოლიოს განხილვას უმასპინძლებს. გუშინ საღამოს ძველ იპოდრომზე არტსივრცეში წლევანდელი ფოტოკონკურსის საუკეთესო ფოტოები წარადგინეს შემდეგ ნომინაციებში: დოკუმენტური სერია, რეპორტაჟი, კონცეპტუალური ფოტოპროექტი, ერთი კადრი, ასევე ქვენომინაციებში ერთი კადრი და „ჰუავეი“ მობილური ფოტო. გამარჯვებული ავტორები კომპეტენტურმა საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლინა.



ფოტოკონკურს „ქოლგას“ საპრიზო ფონდი 6000 დოლარია, რომელიც აღნიშნულ ოთხ გამარჯვებულს შორის თანაბრად განაწილდა, ხოლო მობილური ფოტონომინაციის გამარჯვებულებს „ჰუავეის“ მობილური სატელეფონო აპარატები გადაეცათ.

25 წლამდე ფოტოხელოვანთათვის, რომლებიც ნამუშევრებს წარადგენენ შემდეგ ნომინაციებში: დოკუმენტური სერია, რეპორტაჟი და კონცეპტუალური პროექტი, გერმანელმა ხელოვანმა პეტერ მოინინგმა 500 ევროს ოდენობის პრემია დააწესა. პრემიის მიზანია ახალგაზრდა ფოტოხელოვანთათვის ხელის შეწყობა პროფესიული დონის ამაღლებასა და ფოტოგრაფიის სამყაროში გზის გაკვლევაში.

ალსანიშნავია, რომ ფოტოკვირეული „;ქოლგა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და თბილისის მერიის მხარდაჭერით უკვე მეექვსედ იმართება გაფართოებული ფორმატით, რაც წარმოდგენილ ნამუშევართა მაღალი ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მისი გენერალური სპონსორია „თიბისი ბანკი“, სპონსორი – ჩინური კომპანია „ჰუავეი“, საგანმანათლებლო სექციის მასპინძელია სასტუმრო „ფაბრიკა“, ხოლო მხარდამჭერები: „მეიდან ჯგუფი“, სადაზღვევო კომპანია „არდი“, სააგენტო „ლაიფი“, ბრიტანეთის საბჭო, შვედეთის, იტალიისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოები საქართველოში, აგრეთვე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ღვინის კომპანია „ბადაგონი“.

ფოტოკონკურსი „ქოლგა“ წლის საუკეთესო ნამუშევრების წარდგენის გარდა, ყველა მსურველს ეპატიჟება ასევე მანაბა მაგომედოვას (დაღესტანი), ნატა სოფრომაძის (საქართველო), ნიკოს ბილოსის (საბერძნეთი), ლეილა აჰმადზაის (ავღანეთი), ჰორსტ კისტნერის (გერმანია), დევიდ მაგნუსონის (შვედეთი) პერსონალურ და გაერთიანებების „ღია პორტფოლიო“ (ირანი), „ცხოვრების გასაოცარი სამეფო „ფაუნას“ ისტორიულ-ადმინისტრაციული ინტერპრეტაცია“, „მომავალი ჩვენია“ და სხვათა ჯგუფურ გამოფენებზე.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**





საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4399; ევრო - 2.6671;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1443;
100 რუბლი - 4.2262; თურქული ლირა - 0.6876;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4528;
1000 სომხური დრამი - 5.0328.

**ამინდი 6 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +8 | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +21 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +25 |
| თბილისი: | ღამე +13, | დღე +20 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge